პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. ... საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: [illegible] მთავარი კანტორა: [illegible]

რედაქციის მიღება ... რა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

... ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. ხამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან. პროვინციაში 12,000 მან.

№ 199 პარასკევი, 1 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 1 სექტემბერი 1922 წ. № 199

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა კომიტეტებს, 1 სექტემბერს,

## ერთიან პარტიულ დღეს

[illegible]

თბილისის კომიტეტის მდივანი: კახიანი. (3 3)

საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო

[illegible]

## ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია

[illegible] (251—1—1)

## თბილისში ტვირთმზიდვის გადასახადის გამტარებელი

## კომისია

წინანდელ დადგენილებათა შესაცვლელად, თბილისის ქალაქის აღმასკომის საყდგენილების № 6 § 1 თანახმად, ამით აცხადებს, რომ ამ წლის 1 სექტემბრიდან [illegible] ტვირთმზიდვის გადასახადი:

475.000 მ. მაგიერ უნდა გადის 500.000 მ.

950.000 მ. „ „ 1.000.000 მ.

1.140.000 მ. „ „ 1.200.000 მ.

ეს დადგენილება [illegible]

პასუხისმგებელი მდივანი.

## სვანეთში

[illegible]

## როგორ ითხავენ გერმანიის სიმდიდრეს

[illegible]

... ბინებიან, უცხოელები ეხლა გულმოდგინეთ შეუდგენ უძრავი ქონების შენობების და მამულების შესყიდვას. მართალია ამას წინადაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა ისეთი დიდის მაშტაბით, როგორც დღეს.

განსაკუთრებით დიდ საშიშროებას წარმოადგენს გერმანიის წარმოებათა აქციების შეძენა, რომელიც შემჩნეულია დღეს გერმანიის ყველა ბირჟებზე, უმთავრესად კი ბერლინის ბირჟაზე.

ამას აღნიშნავს სხვათა შორის ისეთი დაკვირვებული მკვლევარი, როგორც არის ვ. ფოგელი გაზ. „დიველტ ამ მონტაგში“, წერილში: [illegible] მიზნით.

რათა თავიდან აშორებული ყოფილიყო გერმანიის დაინტერესებულ წრეების ყურადღება მსხვილი შესყიდვანი მოხდა ჰოლანდიის ბანკების საშუალებით.

საინტერესოა, რომ ფრანგები და ბელგიელები, თვალის ასახვევათ გამოდიან მყიდველებათ არა თვითონ, არამედ ჩეხების და პოლონელების სახით. უცხოელ მყიდველების გერმანიის ბირჟებზე გამოსვლების პოლიტიკური ტენდენცია დაკავშირებულია საფრანგეთის ზრახვებთან (რომელსაც მხარს უჭერს ბელგიაც), ჩაიგდოს ხელში კანტროლის სახით, რეინის მარცხენა ნაპირი.

## რუსეთი და გერმანია

**მოსკოვი.** 30 აგვისტო. 26 აგვისტოს გერმანიის რწმუნებულმა ინახულა ამხ. კარახანი, რომელსაც თავისი მთავრობის დავალებით განუცხადა შემდეგი: „გერმანიის პროფკავშირების წარმომადგენლებმა განუცხადეს რეიხკანცლერს 24 აგვისტოს რომ მარკის კურსის კატასტროფიული დაცემის გამო, გერმანიის მშრომელთა ფართო წრეებისათვის შეიქნა აუტანელი ცხოვრების პირობები. ქვეყნის სახალხო მეურნეობა სდგას კატასტროფის წინაშე. გერმანია გრძნობს სურსათის დიდ ნაკლულოვანებას. დღევანდელმა გერმანიის მთავრობამ გააკეთა ის, რის გაკეთებაც მას შეეძლო ვერსალის ხელშეკრულებას პოლიტიკის გასატარებლად. პროფკავშირთა ზემოხსენებული განცხადება, იმ პროფკავშირების რომელნიც იყვნენ ერთეული მექომაგენი ამ პოლიტიკისა, რა თქმა უნდა, ამტკიცებს მოვალე ქვეყნების დაუყოვნებელი ჩარევის აუცილებლობას. ძალიან მადლობელი ვიქნები თქვენი, თუ თქვენ მიიღებთ ზომებს, რომ ის მძიმე და სერიოზული მდგომარეობა, რომელშიაც მოექცა გერმანიის ხალხი თქვენი მთავრობის სათანადო ღონისძიებათა საშუალებით, რაც შეიძლება უკეთ გაეცნოს ხალხს.

ამის საპასუხოდ ამხ. კარახანმა განაცხადა: „არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, თუ რაოდენ სიმპატიათ და თანაგრძნობით ეპყრობა გერმანიას და მის მშრომელებს რუსის ხალხი, რომელნიც ჩაყენებული არიან ასეთ მძიმე პირობებში“. ამხ. კარახანმა გამოსთქვა რწმენა, რომ თანასწორობისა და ერთი მეორისადმი პატივისცემის საფუძვლებზე რაპალოში დადებულმა ხელშეკრულებამ შექმნა სათანადო პირობები. გერმანიასა და რუსეთს შორის ეკონომიური კავშირის განსამტკიცებლად. ეს ხელშეკრულება დიდი ყურადღების ღირსია, ვინაიდან ამ ხელშეკრულების მეოხებით, რუსეთი თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით და გერმანია მისი ორგანიზაციული ტეხნიკური საშუალებებით, გამონახავენ გზას ურთიერთშორის მეურნეობისა და ფინანსების აღსადგენად.

**ერთიანი ფრონტით.**

**მოსკოვი.** 30 აგვისტო. გერმანიის და საფრანგეთის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების კონფერენციაზე კელნში დაესწრენ: საფრანგეთიდან—კაშენი, რეკუკერი, ტრენტი ლაპორი, გერმანიიდან—ტალგეიმერი, ვრანდლერი, ტეკკერი და ლიუდვიგი. კონფერენციამ წამოაყენა შემდეგი ლოზუნგები: ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება, რურის ოლქის ოკუპაციის მოსპობა, მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი გერმანიის, საფრანგეთის და საბჭოთა რუსეთის შორის, ბრძოლა სიძვირისა და გადასახადების სიმძიმის წინააღმდეგ, სამრეწველო და ფინანსიური კონტროლის დაწესება, მუშათა „დრუჟინების“ ორგანიზაცია და მუშათა მთავრობის შექმნა.

**გერმანიის კომპარტიის მოწოდება.**

**მოსკოვი.** 30 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ცეკამ მიმართა გერმანიის პროლეტ. მოწოდებით, რომელშიაც სასტიკად ჰკიცხავს გერმანიის მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შემარიგებელ პოზიციებს, რომელიც ანგარიშს არ უწევს მუშათა მასების განწყობილებას. მიმართვა მოუწოდებს მუშებს არ გაუგონონ პარტიულ ბიუროკრატებს, და აღმართონ კლასთა ბრძოლის დროშა.

**კომუნისტების გამარჯვება**

**ბერლინი.** გაზ. „როტე ფანეს“ ცნობით კარანტონში მომხდარ მუნიციპალიტეტის არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 2100 ხმა, სოციალისტებმა 1100 ხმა, ნაციონალურმა ბლოკმა 1900 ხმა, და რადიკალებმა 1400 ხმა. ასეთი შედეგი, გაზეთის აზრით, ნათლად ამტკიცებს კომუნისტური პარტიის ძალას და ზრდას.

# რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

## გერმანია და ანტანტა

**შრეიდერის გამგზავრება.**

**ჰანოვერი.** 30 აგვისტო (რადიო). 28 აგვისტოს პარიზში საკონტრიბუციო კომისიის სხდომაზე გაემგზავრა გერმანიის ექსპერტი, სახელმწიფო მდივანი შრედერი. პარიზის საკონტრიბუციო კომისიასთან დაახლოვებული წრეები ამ სხდომას უცქერიან ოპტიმისტურად და იმედს გამოსთქვამენ, რომ ბელგიის მიერ წარმოდგენილი კომპრომისი საფუძვლად დაედება სხვა და სხვა თვალსაზრისის გაერთიანებას.

**უკანასკნელი ვადა.**

**ნაუენი.** 30 აგვ. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ წინადადება მისცა მაინის გოგშტატის თვითმართველობას მოაწყონ ქალაქის ხ. რ ჯზე ბარაკები საოკუპაციო ჯარებისათვის.

ამ ბარაკების საერთო ღირებულება უდრის 115 მილ. მარკას.

**თათბირი მწარმოებლებთან.**

**ბორდო.** 30 აგვისტო (რადიო). კანცლერ ვირტს ჰქონდა თათბირი მწარმოებლებთან სტინესის მეთაურობით საფრანგეთისათვის საქონლის მიწოდების საკითხის განსახილველად.

**საკითხი მორატორიუმის შესახებ.**

**რომი.** 30 აგვისტო (რადიო). საკონტრიბუციო კომისია პარიზში ოფიციალურად შეუდგა მორატორიუმის საკითხის წინასწარ განხილვას.

**გერმანიის პროტესტი.**

**რომი.** 30 აგვისტო (რადიო). გერმანიის მთავრობამ პროტესტით მიმართა ერთა ლიგას, საფრანგეთის ჯარების საარის რაიონში უკანონოდ ყოფნის გამო.

უდიდესი ყურადღებით ეპყრობიან ისინი გერმანიის მუშების იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლის ყოველგვარს გამოცოცხლებას. ისინი დაეხმარებიან თავის გერმანელ ძმებს, როდესაც უკანასკნელნი შესდგებიან ბრძოლის გზაზე.“

**გაერთიანებული ფრონტით**

**მოსკოვი,** 29 აგვისტო. კელნში შესდგა საფრანგეთის და გერმანიის კომპარტიის დელეგატთა კონფერენცია მოქმედების ხაზის გამოსამუშავებლად იმ ამბების გამო, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ლონდონის კონფერენციის ჩაშლამ.

**მოლაპარაკება შეიდემანელების და დამოუკიდებლების შორის**

**ბორდო.** 30 აგვისტო (რადიო). ბერლინში დაიწყო მოლაპარაკება მეუმრავლესე სოციალისტების დამოუკიდებლებთან გაერთიანების შესახებ. „ფორვერსტის“ ცნობებით მოლაპარაკება ნაყოფიერად მიმდინარეობს.

**გერმანიის ემისია**

**ბორდო.** 30 აგვისტო (რადიო). უკანასკნელი კვირის განმავლობაში გერმანიაში გამოშვებულია ბანკის ბილეთები 110 მილიარდის ღირებულებით.

**მოსავალი გერმანიაში**

**ბორდო.** 30 აგვისტო (რადიო). გერმანიის მიწად-მოქმედების და მომარაგების მინისტრმა განაცხადა, რომ უზრუნველყოფილია პურნახულის მომარაგება. მოსავალი პურნახულისა საშუალოა, ქართოფილის კი კარგი. ფასების აწევა პურზე გამოწვეულია, მინისტრის აზრით, მარკის დაცემით.

**სიძვირის მიზეზი**

**ბორდო.** 30 აგვისტო (რადიო). ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიაში ცხოვრების გაძვირება გამოწვეულია მთავრობის მიერ მწარმოებლების მფარველობის გამო.

**სასურსათო დიქტატურა**

**ბორდო.** 30 აგვისტო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი მოითხოვს სასურსათო დიქტატურას. გაზეთის აზრით, გერმანიის მთავრობას უნდა აეღო მაგალითი საფრანგეთისაგან, რომელმაც შესძლო მოეწესრიგებია სასურსათო საკითხი.

**თამბაქოს წარმოებათა გაძვირება**

**ნაუენი.** 30 აგვისტო (რადიო). შემჩნეულია დიდათ ფასების აწევა თამბაქოზე; ერთი პაპიროსი ღირს შვიდი მარკა, ერთი სიგარა 20 მარკა.

## პოლიციის კონგრესი

**ჰანოვერი.** 30 აგვისტო, გერმანიის პოლიციის მეთაურმა მიიღო ნიუ-იორკიდან მიწვევა, მიიღოს მონაწილეობა პოლიციის მოღვაწეთა ყრილობაზე, რომელიც მოწვეული იქნება 29 აგვისტოს ნიუ იორკში.

## საფრანგეთი.

**თითქის ხიმშვიდეა**

**ბორდო.** 30 აგვისტო. ქალაქში მდგომარეობა თითქმის ნორმალურია ტრამვაი მოძრაობს, გაფიცულთა დაკრძალვამ უინციდენტოთ ჩაიარა (კავროსტა).

**მხოლოდ ამდენი...**

**ბორდო.** 30 აგვისტო. მიუხედავათ საერთო გაფიცვის გამოცხადებისა ნაწილი გაფიცულთა მცირე რიცხოვანია. მსხვილი წარმოებანი ნორმალურ მუშაობას განაგრძობენ. იტყობინებიან მომხდარ უწესოებაზე მეტალისტურ ქარხნებში. გაფიცულთა დიდი რიცხვია შენიშნული რომბეში, ტურკუენეში, და ჩრდილოეთით მდებარე მაღაროებში. აგრეთვე გაფიცვები დაწყებულია მუანოში, ლია-ბარსეში და ლიონში (კავროსტა).

**კოლონიალური კონგრესი.**

**რომი.** 30 აგვისტო. (რადიო). პირველი კოლონიალური კონგრესი იტალიის გაიხსნება ტრიესტში 12 სექტემბერს (კავროსტა).

## იტალია

**კაბინეტის სხდომა**

**რომი.** 30 აგვ. (რადიო). რომში ჩავიდა ფაქტა კაბინეტის სხდომაზე თავმჯდომარედ დასასწრებლად. კაბინეტი განიხილავს საკითს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

**მუნიციპალიტეტის დაკავება.**

**ბორდო.** 30 აგვისტო (რადიო). მიუხედავათ ჯარების წინააღმდგობისა

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**პეტროგრადის საბჭოში.**

**მოსკოვი.** პეტროგრადის საბჭოში ამხ. ზინოვიევმა გააკეთა მოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა პეტროგრადში ინტელიგენციის ნაწილის წინააღმდეგ. „დასავლეთში მოინახება ხალხი, სთქვა ზინოვიევმა, რომელიც დაიწყებს ნაწყენ ინტელიგენტების დაცვას და ეცდება ჩვენ მოგვცეს დარიგება. მაგრამ (გამოტოვებულია).. საბჭოთა ხელისუფლება მოხარული იქნება, თუ კი მას აღმოუჩენენ დახმარებას გიგანტიურ მუშაობის დროს. ჩვენ ვამბობთ: „ხელები შორს“. ჩვენ მივმართეთ [illegible] ინტელიგენტების წინააღმდეგ, როდესაც გადავასახლეთ ისინი: „წადით, ეძებეთ თავისუფალი ქვეყნები, ემსახურეთ კაპიტალს“. ყოველი ინტელიგენტი, რაც არ უნდა იყოს იგი, თუ კი მოისურვებს მუშაობას, ჩვენ მიერ მიღებული იქნება.

**სამეურნეო ფრონტზე.**

**მოსკოვი.** 31 აგვისტო პეტროგრადში ამ ჟამად მუშაობს 300 წარმოებაზე მეტი, რომელნიც უზრუნველყოფილია ნედლი მასალით 3-5 თის განმავლობაში.

**საფონდო ბირჟები.**

**მოსკოვი.** 31 აგვისტო. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა საკანონმდებლო წესით საფონდო ბირჟების დებულების დამტკიცებამდე, დაარსდეს სპეციალური ფასების დამწესებელი კომისია ფინანსთა სახ. კომისარიატის, საგარეო ვაჭრობის კომისარიატის და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის ამოცანაა დააწესოს უცხოეთის ვალიუტის და კეთილშობილ ლითონების კურსი. სახელმწიფო ბანკის მიერ დაწესებული კურსი უცხოეთის ვალიუტაზე გაუქმებულია და საფონდო ბირჟის გახსნამდე წესდება კურსი, რომელსაც ოფიციალურად განსაზღვრავს ავანსების დამწესებელი კომისია.

**დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მოღვაწეობა.**

**მოსკოვი.** 31 აგვისტო დამშეულთა დამხმარე ცენტ. კომ. დაადგინა წინადადება მიეცეს ყველა ადგილობრივ დამშეულთა დამხმარე კომიტეტებს განაგრძონ ინტენსიური მუშაობა და შეინარჩუნონ მომავალში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ფონდის გასაძლიერებელი წყაროები. მომავალში ყურადღება უნდა მიექცეს უმუშევარ პროლეტარიატის ან სამოქალაქო ომის ინვალიდების დაკმაყოფილებას.

დამშეულთა დამხმარე ცენტრ. კომიტეტმა წინადადება მისცა ადგილობრივ ორგანოებს 1 სექტემბრიდან შეამცირონ საზოგადოებრივი კვება, ახალი მოსავლის რეალიზაციის გამო.

## მთიელთა რესპუბლიკაში

**კავკავი.** 29 აგვ. მთიელთა რესპუბლიკაში სასურსათო გადასახადის აკრება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სუნჟის ოლქში შემოვიდა 4,516 ფ. ბ 37 გ. ხორბალი, 363 ფ. და 23 გირ. ქვავი, 166 ფ. და 25 გირ. ქერი.

სამოქალაქო ხარჯის სამრეწველო გადასახადისაგან შემოვიდა 5,128,050 ათასი მანეთი.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

### გერმანია

**გერმანიის მუშების მოთხოვნა.**

**მოსკოვი.** 29 აგვისტო. „როტე ფანეში“ მოთავსებულია ხიმნიცის უდიდესი ქარხნის მუშების რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მუშათა მიერ ფოლადის წარმოების ხელში ჩაგდებას, პირველ საჭიროების საგანთა რეკვიზიციას, მუშათა კონტროლს წარმოებისა, ვაჭრობასა და ბანკებზე. რეზოლიუცია მიუთითებს მუშური მთავრობის შედგენის აუცილებლობაზე.

**გერმანიის ამბების გამო.**

**მოსკოვი.** 29 აგვისტო (რადიო). „პრავდა“ მოწინავეში სწერს „ვერსალის ხელშეკრულების სამი წლის შესრულების შემდეგ მარკის ფასი ეცემა თავბრუდამხვევი სიჩქარით ეს ნიშნავს მუშათა მასების თავის სიძვირის ყოველ დღიურ ზრდას. პროფ. კავშირები, რომელნიც ანტანტის კაპიტალისტების წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლის შიშით იყვნენ უმთავრესი დასაყრდნობი ვერსალის ხელშეკრულების აღსრულებაში, მივიდნენ იმ ხაზამდე, რომლის გადასვლა შეუძლებელია. ხელფასის სახით მიღებულ მარკებზე მუშებს არ აქვთ შეძლება ლუკმა პურის შეძენისა. ვერსალის ხელშეკრულების აზრი ეუბნება სოციალ-დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ კოალიციის მთავრობას:

ანტანტა თანახმაა განუგრძნოს ვადა გერმანიას, თუ უკანასკნელი (გამოტოვებულია).. თავის მაღაროებს და ტყეებს. ცნობები გერმანიის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ (დამახინჯებულია).. მოთხოვნილებაზე გაურკვეველია. რომ მთავრომა დასთანხმდეს, მას ჩამოაგდებს ნაციონალისტური მოძრაობა მარჯვნით და ან რევოლიუციონური მარცხნით. სამი წელიწადია გერმანია ანტანტის განკარგულების ქვეშ იმყოფება. ეხლა მას მთელის თავზარდამცემი. საფრთხე სანამ გერმანია ვერ ბედავდა თავის დაცვაზე ფიქრსაც კი, ყოველგვარი დახმარება გერმანიისათვის შეუძლებელი იყო. მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანიის მშრომელი მასსები მიხვდებიან, რომ საფრანგეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც საზოგადოთ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში, საჭიროა თავდაცვა, მხოლოდ მაშინ იქნებიან ისინი დახმარების ღირსნი. გერმანიის ხალხი გზაჯვარადინზე სდგას. მაგრამ ის მოიკრებს ძალას თავის განსათავისუფლებლად ბრძოლის დასაწყებად. რუსეთის მშრომლები გულდასმით ყურს უგდებენ გერმანიაში მომხდარ ამბებს. მათ იციან რომ მათი ბედი გავლენას იქონიებს გერმანიის ხალხის გადაწყვეტილებაზე.

გაზეთის ტრესტის მთავარ

# კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი ანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე. ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

**გაფრთხილება:** ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე სექტემბრის ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება.

(0—33)

# გაერთიანებული ორგანიზაცია

სრულიად რუსეთის ამხანაგობისა

„მატყლი"

(რ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი სამეურნეო საბჭოსი)

და საქ. სასურსათო სახ. კომისარიატისა

# „საქართველოს მატყლი"

ამით აუწყებს, რომ იგი შეუდგა მატყლის შესყიდვის ოპერაციებს ნაღდ ფულზე და საქონელზე გადაცვლით როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

დაწესებულებებს, წარმოებებს და ცალკე პირებს რომელნიც ამზადებენ, ან აქვთ დამზადებული მატყლი, შეუძლიათ მიმართონ წინადადებებით „საქართველოს მატყლ"-ს.

მისამართით: სასურს. სახალხ. კომისარიატი, ოთახი 1 | 16 (ტფილისი, ევანგულოვის ქუჩა პირველი სართულის შესავალი.)

(247—1—1) „საქართველოს მატყლი".

## ტფილისში მყოფ შევარდნებს!

თანახმად ს. ს. ს. რ. საყოველთაო სამხედრო სწავლის სამმართველოსადმი ბრძანებისა შევარდენმა უნდა მიიღოს მონაწილეობა კვირას, 3 ენკენისთვეს ახალგაზრდობის დღესასწაულში, რის გამოც საქართველოს შევარდენთა კავშირის გამგეობა მოუწოდებს

ტფილისში მყოფ ყველა

## შევარდნებს,

როგორც ძმებს, ისე დებს, უფროსებს და უმცროსებს, გამოცხადდენ ტფილისის მეორე შევარდენის ეზოში შაბათს 2 ენკენისთვეს საღამოს 5 საათზე მოსამზადებლად.

(397—1—1) საქართველოს შევარდენთა კავშირის გამგეობა.

ფაშისტების ჯგუფმა დაიკავა მუნიციპალიტეტი ქალაქ ვარეზეში და გადააყენა ქალაქ. მოურავი (კავროსტა).

## შვეცია

**ალკოჰოლის გაყიდვის აკრძალვის წინააღმდეგ**

**ბორდო.** 30 აგვ. (რადიო). სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობების თანახმად სამმა ზღვის სანაპირო ნავთსადგურმა, რომელნიც ცნობილი არიან კონტრაბანდული ვაჭრობით, ხმის დიდი უმრავლესობა მისცეს ალკოჰოლის და ნარკოტიულ სასმელების გატანა-გაყიდვის აკრძალვის წინააღმდეგ.

## ერთა ლიგაში

**ბორდო.** 30 აგვ. (რადიო). სააგენტო გავასის ცნობით, ერთა ლიგის საბჭოს ექნება ორი სესია. პირველი სესია, რომელიც გაიმართება კინნეს დე-ლეონის თავმჯდომარეობით შემუშავებს პლენალურ სხდომის დღის წესრიგს, ხოლო მეორე განიხილავს საკითხს მანდატების და წმიდა ადგილების შესახებ. მეორე სესიაზე თავმჯდომარედ იქნება ბრაზილიის ელჩი ლონდონში დაგამა.

**ბორდო.** 30 აგვ. (რადიო). გერმანიის ერთა ლიგაში დაშვების საკითხის შესახებ სააგენტო გავასი იტყობინება, რომ საფრანგეთი კატეგორიულად გაილაშქრებს გერმანიის ერთა ლიგაში შეყვანის წინააღმდეგ და ამ შემთხვევაში კი იგი ამჯობინებს ერთა ლიგიდან გამოსვლას.

**ნაუენი.** 30 აგვ. (რადიო). ჩამოვიდა ჟენევაში ერთა ლიგის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად დანციგის სენატის თავმჯდომარე საპი.

**ნაუენი.** 30 აგვ. (რადიო). ანგლიის დელეგაციის წევრთა რიცხვი ერთა ლიგაში მონაწილეობის მისაღებად, ინგლისის მთავრობა დანიშნა ქალი—მისს გუბბი.

## მცირე ანტანტა

**ბენეშის განცხადება**

**ნაუენი.** 30 აგვ. (რადიო). პრაგაში გამართულ მცირე ანტანტის კონფერენციის შემდეგ, ბენეშმა გავასის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კონფერენციამ ყველა დეპუტატებს დაუტოვა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მცირე ანტანტას შეუძლია ამ მომენტში შეინარჩუნოს მშვიდობიანობა და რომ იგი, ბენეში, დაჟინებით მოითხოვდა იმ სახელმწიფოების ერთობას, რომელნიც შედიან მცირე ანტანტაში. ავსტრიის საკითხის შესახებ ბენეშმა განაცხადა, რომ მცირე ანტანტამ გადასწყვიტა ითანამშრომლოს ქვეყნებში დიდ სახელმწიფოებთან მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება დღე-

ვანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში.

**პოლონეთის გარეშე**

**ჰანოვერი.** 30 აგვ. (რადიო) პრაღაში 28 აგვისტოს დახურულ კონფერენციაზე მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება. მაგრამ საყურადღებოა, რომ მცირე ანტანტის გაფართოვება და პოლონეთის მასთან შეერთება არ მომხდარა.

**ხელშეკრულების ვადის გაგრძელება**

**ჰანოვერი.** 30 აგვ. (რადიო). სამხრეთ-სლავიის და ჩრდილო-სლავიის ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულია 25 წლით.

## აღმოსავლეთი

**საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.**

**ბორდო.** 30 აგვისტო. ათინიდან იტყობინებიან, რომ ბერძნებმა დასცალეს აფიონ კარა-გისარი. ნიკოდელიის სექტორში ბერძნებს უკან დახევის დროს დიდი ზარალი მიადგათ. თუ ოსმალოების შეტევა ბრუსის მიმართულებით გაგრძელდება, ბერძნების ჯარები სანაპირო რაიონში მოწყვეტილი იქნებიან.

**ბორდო.** 30 აგვისტო. ათინიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბერძნების ჯარები იკავებენ ამჟამად ახალ პოზიციებს ათიონ-კარა-გისარის დასავლეთით.

**ბორდო.** 30 აგვისტო. ანგორიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბერძნების შემოტევა მოგერებული იქნა ოსმალოების რაზმების მოძრაობა გრძელდება.

**რომი.** 30 აგვისტო. საბერძნეთის სარდლობა იტყობინება ბერძნების ძლიერი შეტევის შესახებ ათიონ-კარა-გისარის რაიონში.

## სხვა და სხვა ამბები

**კომუნისტების დაპატიმრება.**

**ბორდო.** 30 აგვისტო. ვარშავის პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე კომუნისტი.

**ეკონომიური კონფერენცია.**

**ბორდო.** 30 აგვისტო. გაზ. „დეილ ექსპრესის" ცნობით ეკონომიურ კონფერენციის, რომლის მოწვევა განზრახული იყო გენუაში, შეიკრიბება ლონდონში ოქტომბრის დამლევს.

**ამერიკის კაპიტალის დაზღვევა.**

**ნაუენი.** 30 აგვისტო. დელეგაცია ვაშინგტონის კომერციულ კონგრესისა, რომელიც აერთიანებს სამხრეთ-ამერიკის 12 ბანკის და შეერთებულ შტატების რამდენიმე ასეულ კომერციულ კამპანიებს, ჩავიდა შერბურგში, რათა მოახდინოს დაზვერვა საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში და იტალიაში თავისი ფილიალური განყოფილებების დასაარსებლად ევროპაში.

**ალკოჰოლის გაყიდვის აკრძალვის გამო.**

**ბორდო.** 30 აგვისტო. რეფერენდუმი, ალკოჰოლის შემოტანის და გაყიდვის აკრძალვის შესახებ, დამთავრდა შემდეგი შედეგებით; ხმების 48 პროც. იყო აკრძალვის სასარგებლოდ, ხოლო 52 პროც. აკრძალვის წინააღმდეგ.

**ბუნების მეტყველთა და ექიმების გამგზავრება.**

**ბერლინი.** 18—24 სექტემბრამდე გერმანიის ბუნების მეტყველთა და ექიმების საზოგადოების ასი წლის თავის აღსანიშნავად ლეიპციგში გაიმართება ბუნებისმეტყველთა და ექიმების ყრილობა, რომელზედაც მთელი რიგი გამოჩენილ მომუშავეთა ამ დარგში წაიკითხავს მოხსენებებს თანამედროვე სამეცნიერო საკითხების შესახებ. ყრილობაზე ჩაეწერენ პროფესორები, ენშტეინი, პირრი, იოგანსონი და სხვები. გამოჩენილი მოგზაური სვენ გედინი წაიკითხავს ყრილობაზე მოხსენებას თავის უკანასკნელ მოგზაურობის შესახებ ტიბეტში.

**კომპარტიის ყრილობა დანიაში.**

**ზოხკოვი** 30 აგვისტოს კოპენგაგენში გაიხსნა დანიის კომპარტიის ყრილობა (კავროსტა).

# უცხოეთის ცხოვრება

**ბერლინის მუშები ესერებზე გამოტანილ განაჩენის შესახებ.**

ორშაბათს 14 აგვისტოს, ბერლინის ერთ-ერთ დიდ დარბაზში „ნოეველში" გაიმართა ბერლინის მუშების გრანდიოზული მიტინგი, ესერების საქმეზე გამოტანილ განაჩენის შესახებ. გამოვიდენ ამხ. ჰეკერტი (გერმანია), კრეინი (საფრანგეთი) მუნი (ჩეხო-სლოვაკია) დარბაზი გაჭედილი იყო მუშებით, რომელთა რიცხვი აღწევდა 8 000 კაცს, რომელთაც აღშფოთებით მოისმინეს ორატორების მოხსენებები ესერების მიერ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობის შესახებ. ამხ. ჰეკერტმა თავის სიტყვაში სხვათა შორის განაცხადა „მოსკოვში გამოიტანეს განაჩენი იმ პარტიის შესახებ, რომელიც თავის თავს უწოდებდა სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას, მის წინამძღოლების შესახებ გამოტანილი სიკვდილით დასჯის განაჩენი არის იმავე დროს მთელი ამ პარტიის სიკვდილით დასჯის განაჩენი. ესერები შეუერთდნენ საფრანგეთის და ინგლისის კაპიტალისტებს, რომელთაც მოაწყეს აჯანყება საბჭოთა რუსეთში და დაანგრიეს ქვეყანა. ესერები საბჭოთა რუსეთში წარმომადგენდენ იმას რასაც ჩვენში, გერმანიაში წარმოადგენენ კონსულის ბანდები და სხვა კონტრრევოლიუციონერი ორგანიზაციები. გერმანიაში სოციალდემოკრატები მოითხოვენ ამ ბანდის წევრთა სიკვდილით დასჯას, ამავე დროს ისინი სცდილობდნენ წარმოგვიდგინონ ესერები რევოლიუციონერებად, და აღშფოთებულნი არიან უმაღლეს რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენით". შემდეგ მუშების ტაშისცემით მან დაამთავრა სიტყვა: „დიახ, ეს არის პროლეტარიატის კლასიური იუსტიცია, და მან გამოიტანა სიკვდილით დასჯა ყველაზე უფრო ბოროტ უმშების შესახებ".

ამხ. გუნამ განაცხადა.. კომუნისტური ინტერნაციონალი ვალდებული იყო თავისი რევოლიუციონური მოვალეობის თანახმად, გამოსულიყო ბრალმდებლად ესერების საქმეში. ჩვენ არაფერს არ ვფარავთ და არც ვამბობთ უარს მორალურ პასუხისმგებლობაზე ამ განაჩენისათვის. და ეხლა გამოვდივართ რა რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინაშე, ჩვენ მოვითხოვთ მის სანქციას.

ესე როგორც წინა ორატორის სიტყვები, გუნას სიტყვასაც გაცხოველებული ტაშით ეგებებიან.

ამხ. ტრეინმა აღნიშნა, რომ რეფორმისტების ცდა, რათა ესერების პროცესი გადაექციათ რუსეთის რევოლიუციის საწინააღმდეგო პროცესად, უშედეგოდ დამთავრდა.

ეს იყო ჭეშმარიტად რევოლიუციის პროცესი კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ. ესერების დამცველები 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების გმირები სამარცხვინოთ გაიქცენ. ისინი მიხვდენ, რომ თუ ბოლომდე დარჩებოდენ, მათ უნდა ეკისრათ პასუხისმგებლობა ესერების მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულობისათვის მაგრამ მათ შეეშინდათ ამისი, ვინაიდან კარგად იცოდენ ევროპის პროლეტარიატის სულის კვეთება.

მიტინგი დამთავრდა დიდი ალფრთოვანებით. ანალოგიური მიტინგები გაიმართა გერმანიის ბევრ ცენტრებში—გალეში. ჰამბურგში და სხვა ქალაქებში.

**საფრანგეთის მუშები და განაჩენი ესერების შესახებ.**

გაზ. „იუმანიტეში" 6 აგვისტოს თარიღით მოთავსებულია (საფრანგეთის სამრეწველო ცენტრია) მუშათა სინდიკატების კავშირის დროებითი კომისიის წევრთა წერილი ესერების პროცესის შესახებ. ეს წერილი, რომელიც ხელმოწერილია ჩრდილოეთ საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციების ყველაზე გამოჩენილ ხელმძღვანელების მიერ, ფრიად დამახასიათებელია, როგორც ნამდვილი პროლეტარული პასუხი იმ ცილისწამების კამპანიაზე, რომელიც დაიწყო საფრანგეთში და ბელგიაში ესერების საბრალო დამცველმა ემილ ვანდერველდემ.

ხელმომწერლები აცხადებენ, რომ რევოლიუციონურ ხანაში ის ამხანაგები, რომელთაც მინდობილი აქვთ კონტრრევოლიუციის განადგურება, როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი სახე და მისი მოღვაწენი, ვალდებულნი არიან იხმარონ უსწრაფესი და უსასტიკესი საშუალებანი. ჩვენ მოუწოდებთ მუშათა კლასს აღიაროს ჩვენთან ერთად, რომ რუსეთის რევოლიუციონერები მოქმედებდენ ისე, როგორათაც უნდა ემოქმედნათ კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობდა დაენხო საბჭოთა მთავრობა და მოესპო რუსეთის რევოლიუცია. ხელმომწერლები შერცხვენას უთვლიან საფრანგეთის ზოგიერთ კონტრრევოლიუციონერებს, რომელნიც ეფარებიან კლასთა ბრძოლის პრინციპს საწინააღმდეგო ფორმულას, პროვოკაციულად აძლევენ მოსკოვის პროცესს სინამდვილესთან შეუფერებელ ხასიათს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოსკოვის რევოლიუციონური ტრიბუნალი არ შეუშინდება იმათ განგაშს, ვინც მუდამ ყველაზე უფრო ბოროტი მტერი იყო რუსეთის რევოლიუციისა, და რომ ის გაასამართლებს სრულიად მიუდგომელად და ანგარიშს არ გაუწევს არავითარ გარეშე გავლენას, რომელიც ეწინააღმდეგება პროლეტარიატის კეთილდღეობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რევოლიუციონური მებრძოლნი, რომელნიც იმყოფებიან საბჭოთა მთავრობაში და მის გარეშე, შესძლებენ ამ მძიმე მომენტში დაამტკიცონ, რომ მათ აქვთ ყოველგვარი სისუსტის გადალახვის უნარი და რომ ისინი შესძლებენ გვერდი აუხვიონ ყოველგვარ გაუმართლებელ უკიდურესობას, როგორც ეს მათ სჩვევიათ ყველა იმ საშიშ პირობებში, რომელსაც ადგილი ქონდა დღიდან მსოფლიოში პირველი პროლეტარული მთავრობის დაარსებისა.

ხელი მოაწერეს დეპარტამენტის ნორდის სინდიკატების კავშირის დროებით კომისიის ყველა წევრებმა ლორიანმა, ვანდევატინმ და ფემმა.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

## საქართველო

**ახალციხის მაზრა**

**მედიკური დახმარება ქალაქში.**

ამ დღეებში ახალციხის სამაზრო აღმასკომთან შესდგა ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელთა და ქალაქის ექიმთა თათბირი.

საექიმო ძალთა და სამეურნეო ხარჯების ეკონომიისათვის გადაწყდა ამბულატორია და საავადმყოფო მოათავსონ ერთ შენობაში.

**ახალც. კომკავშირის სამაზრო კონფერენცია.**

15 აგვისტოს ახალციხეში გაიხსნა ახალც. კომკავშირის სამაზრო კონფერენცია. კონფერენციის გახსნის დროს მოვიდა ცნობა ახალციხეში ვალინის გლეხების ჩამოსვლის შესახებ, რომელთაც ჩამოიტანეს სასურსათო გადასახადი. სამაზრო კონფერენცია მთელი შემადგენლობით, დროშებით ხელში, გაემართა გლეხების შესახვედრათ და მიესალმა მათ სამოქალაქო ვალის დროულად შესრულების გამო.

## სომხეთი

**ერევანი.** 28 აგვისტო. კავკასიის ცალკე არმიის ოთხი წლის თავი. 27 აგვისტოს ერევანში გაიმართა დღესასწაული კავკასიის არმიის ოთხი წლის შესრულების გამო.

ქალაქი მორთული იყო დროშებით და ხალიჩებით. მოედანზე, ბულვარის წინ გაიმართა აღლუმი. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლუკაშინმა წარმოთქვა სიტყვა კავკასიის ცალკე არმიის მნიშვნელობაზე მუშურ გლეხურ რევოლიუციაში და მოუწოდა მებრძოლებს მზად იყონ მტრების მოსაგერიებლად. (კავროსტა).

**პურის სესხი.**

სომხ. კოოპერატიულ კავშირმა განიზრახა შეისყიდოს 1000 ობლიგაცია პურის სესხისა კოოპერატივთა შორის გასანაწილებლად.

**ადგილობრივი ბიუჯეტი.**

დამტკიცებულ იქნა ადგილობრივი ხასიათის ბიუჯეტები ერევნის, ალექსანდრეპოლის და ახალ-ბაიზეთის, ხდება რეორგანიზაცია ადგილობრივ გადასახადთა აპარატების და მათი ცენტრალიზაცია. შეუდგნენ გაწერას განმათანასწორებელ გადასახადის 1922 წლ. მესამე მეოთხედისათვის.

**სასურსათო გადასახადი.**

**ელგოვაკიდან.** 28 აგვისტოს დიდი ზეიმით ჩამოიტანეს ერევანში სასურსათო გადასახადის ერთი ნაწილი 700 ფუთამდე.

27 აგვისტოსათვის ერევნის, ეჩმიაძინის, ახალბაიაზეთის, ლორის, კარაკლისის, მეღვანის, დარალაგესის და მეგრინის მაზრებში შეგროვებულ იქნა სასურსათო გადასახადი—74,797 ფუთი ხორბლეულობა; 41 ფ. ხორცი. 141 ფ. კარაქი, 24 ფ. თაფლი ღ 42 ფ. აბრეშუმის პარკი. (კავროსტა).

## აზერბეიჯანი

**ახალი ფაბრიკები და ქარხნები.**

მოსკოვიდან დაბრუნებულმა ვაჭრობა მრეწველობის კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ლივშიცმა განაცხადა, რომ რ. ს. ს. ფ. რ. სახ. მეურ. უმაღ. საბჭ. პრეზიდიუმი თანაგრძნობით უყურებს აზერბეიჯანში, როგორც ნედლი და სათბობი მასალის ცენტრში, ტყის სახერხი, შალის ღ მაუდის საქსოვი ღ სასოფლო მეურნეობის მანქანების დასამზადებელ ქარხნების გადატანის საქმეს. საქმე აფერხებს ტრანსპორტის სისუსტეს. ის მოსაზრება, თითქოს აზერბეიჯანში არ მოიპოება სათანადო რიცხვი სპეცებისა და კვალიფიციურ მუშების ხსენებულ დარიგებისათვის, სრულიად უარყოფილია. გადატანა გადაწყვეტილია რუზანის ტყის სახერხ ქარხანისა ნიჟეგოროდსკის გუბერნიიდან, რომლის ადგილობრივად დასათვალიერებლად წავიდა ინჟ. ტამიევი. მაუდის და შალის საქსოვ ქარხნებს შორის შეიძლება გადატანილ იქნას საერთო ფედერატიულ წარმოებისათვის უვნებლად მხოლოდ წვრილი ქარხნები, რომელნიც ამ ჟამად არ მუშაობენ; ყველა დიდი ქარხნები ამუშავებულია. განსაზღვრულია გადმოტანა ქარხნების მოსკოვის ან პეტროგრადის გუბერნიებიდან. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მოითხოვა აგრეთვე კონკრეტიული ცნობები ქარხნების, სასოფლო მეურნეობის მანქანებისა და იარაღების სასურველი ზომის შესახებ. ქარხნების გადატანის ხარჯი უნდა იკისროს აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკამ. ამ იდეის საჩქაროდ განხორციელებას, ხელს უშლის საშუალების ნაკლებობა.

# ქრონიკა

◆ **პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი პროვინციაში.** როგორც გვაცნობებენ, პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი, რომელიც გაემგზავრა 12 აგვისტოს პროვინციაში, მართავს საღამოებს სხვა და სხვა ადგილას, საღამოებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მუშებზე. ბათომში საღამოს დასწრებია ორი ათასი მუშა. ამ დღეებში გაიმართება ჭიათურაში.

◆ **ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლობა იტალიაში.** საკავშირო საბჭო ფიქრობს ახლო მომავალში მისცეს რწმუნება რ. ს. ს. ფ. რ. წარმომადგენელს იტალიაში ამხ. ვოროვსკის, რათა უკანასკნელი იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელი იტალიაში. სავაჭრო წარმომადგენლობა იტალიაში ეძლევა ამხ. ელოროდოვს, ამ საკითხის შესახებ სწარმოებს მოლაპარაკება საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმსა და იტალიის მთავრობის შორის.

◆ **დახმარება დაღესტანს.** ვინაიდან დაღესტანის რესპუბლიკა უპურობას განიცდის, საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გადასცეს უკანასკნელს მის განკარგულებაში შემოსულ პურიდან 5 000 ფუთი.

◆ **სათათრეთის წარმომადგენელი საკავშირო საბჭოში.** გუშინ სრულუფლებიან წარმომადგენელმა სათათრეთის უმაღლეს ეროვნულ საბჭოსა ახმეტ მუხტარმა ინახულა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მიასნიკოვი და ქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი.

◆ **ამხ. სვანიძის ჩამოსვლა.** ერთი თვის შვებულების შემდეგ დაბრუნდა თბილისში ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფინანსთა კომისარი ამხ. სვანიძე.

◆ **საქართველოს სამხედრო და საზღვაო** კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. კვირკელია და სომხეთის ვაჭრობა-მრეწველობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. გამიდი ამ დღეებში გაემგზავრებიან ერევანში.

## ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში

**სახელმწიფოებრივი დაზღვევა.** მოისმინა რა მოხსენება საქართველოში ყველა სახის სახელმწიფოებრივ სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ სახ.-კომისართა საბჭომ დაადგინა იცნოს პრინციპიალურად მისაღებად და თავისდროულად საქართველოში ასეთის შემოღება და მიიღოს საჭირო ზომები ხსენებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად. დეტალურ დებულებათა განხილვა გადებულ თანხების ნორმის რაოდენობისა და სატარიფო განაკვეთის შემოღება გადაიდვა ასეთების სათანადო დაწესებულებათა მიერ წარმოდგენამდე.

**ბიბლიოთეკების გახსნა.** პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს სარაიონო ბიბლიოთეკებთან არსებული სამკითხველოები ზუბალოვის (მოთავს. სახალხო სახლში) და (კახეთის მოედანი № 1) ს. ხელობისა გაიხსნა 24 აგვისტოს. ბიბლიოთეკები ღიაა დილის 10—12 საათამდე.

წიგნების და გაზეთების კითხვა პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს თბილისის სარაიონო ბიბლიოთეკებთან არსებულ ყველა სამკითხველოებში უფასოა.

## საკავშირო საბჭოში

— **პრეზიდიუმში.** 30 აგვისტოს შესდგა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. განხილულ იქნა საკითხი ვეტერინარულ-სანიტარულ გადასახადის შესახებ, რომელიც შემოღებულია აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საზღვარ გარედ გასაზიდ ნედლ მასალებზე (ტყავის, მატყლის, ჯაგარის და სხვ.), საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა აღიარა, რომ აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემოღებული ადგილობრივი ვეტ.-სანიტორიული გადასახადი წარმოადგენს არსებითად დამატებითს საექსპორტო ბაჟს, რომელიც ძლიერ აფერხებს აღნიშნულ ნედლი მასალის საზღვარ გარეთ განაღდების საქმეს. ამის გამო საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გაუქმდეს ეს გადასახადი და წინადადება მიეცეს აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს მომავალში თავის საგადასახადო პოლიტიკა შეუთანხმოს ამიერ-კავკასის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის რწმუნებულებს.

შემდეგ განხილული და დამტკიცებული იქნა ამიერ კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შეტანილი დებულების პროექტი შრომის ბირჟის კომიტეტების შესახებ.

ამ დებულების თანახმად შრომის ბირჟის კომიტეტები არსდებიან მჭიდრო კავშირის შესაქმნელად შრომის ბირჟასა ერთის მხრივ და მეორე მხრივ სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციების შორის, შრომის ბაზრის მოწყობის სფეროში. კომიტეტის შემადგენლობაში შედის შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოს წარმომადგენელი, ორი სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელი და ორიც პროფესიონალურ ორგანიზაციებისა. კომიტეტის უწყებაში შედის ბირჟის შინაური წესრიგის დამყარება, ხარჯთ-აღრიცხვის დამუშავება და მათთვის გაცემულ კრედიტების განაწილება - დამ-

# სასურსათო გადასახადის კამპანია

**დუშეთის მაზრა**

**(სახ. სახ. კომ. რევიზორ-ინსტრუქტორ ამხ. კარგარეთელის მოხსენებიდან).**

ბაზარზე შეწერილია სულ 35 000 ფუთი ხორბალი. ეს გადასახადი თემებზე განაწილებულ იქნა ივლისის 9-ს სათემო აღმასკომთა თავმჯდომარეების ყრილობის მიერ. განაწილების დროს ყრილობამ, რომელსაც სამაზრო სამეული და სახალხო სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსტრუქტორი ამხ. კარგარეთელი ხელმძღვანელობდნენ, ისარგებლა სახნავ მიწების 1917 წლის სასტატისტიკო აღწერილობით, რომლის მიხედვითაც 1917 წელს დუშეთის მაზრაში სახნავი მიწების სივრცე 16.919 დესეტინას უდრიდა. ყრილობამ აგრეთვე იხელმძღვანელა 1921 წლის საადგილ მამულო აღწერილობით, რომელსაც აწარმოებდა საგანგებო საკომლო (падворная) კომისია. ამ აღწერილობის ცნობებით 1921 წელს სახნავ მიწების სივრცე გაცილებით დიდია და უდრის 39.682 დესეტინას. სახნავ მიწების ზრდა უმთავრესად გამოწვეულია ტყეების გაჩეხვით. ამ ცნობების გარდა სამეული და ყრილობა ყურადღებას აქცევდა შარშანდელ სასურსათო კამპანიის დროს შედგენილ სიებს, მაგრამ ამ სიების ნდობა შეუძლებელი იყო, რადგანაც მეტად არა სწორედ იყო შედგენილი, რის გამოც ხალხშიც თვალი ჰქონდა გატეხილი.

35.000 ფუთი შეწერილი გადასადი ყრილობამ გაანაწილა შემდეგ 12 თემზე: მუხრანისაზე, საგურამოსაზე. ჰოპორტისაზე, ბაზალეთისა, მცხეთისა, ახალგორისა, ფასანაურისა, ჟინვალისა, ანანურისა, მლეთისა, კობისა და ყაზბეგისაზე. კერძოდ ახალგორის თემზე შეწერილ იქნა 5.000 ფუთი ხორბალი. გაწერის შემდეგ ახალგორის თემი უკვე ფაქტიურად მიეწერა სამხრეთ ოსეთს, რომელიც იქ აგროვებს გადასახადს, ამიტომ დუშეთის მაზრის 10 თემს გადასახდელი დარჩა მხოლოდ 30.000 ფუთი ხორბალი.

მთელი წინასწარი საგადასახადო მუშაობა დასრულებულია მაზრაში: საბოლოო სიები შედგენილია და უკვე დამტკიცებული იყო აგვისტოს 12 სთვის. სოფლებზე გადასახადი თემებში იქნა განაწილებული, ხოლო გადამხდელთა შორის განაწილებულ იქნა სოფლებში თვით სოფლელთა მონაწილეობით. იმ რაიონებში, სადაც პურის თესვას მისდევენ, უკვე დაგზავნილია სიები გადასახადის შესაგროვებლად. ეს რაიონები შემდეგია: მუხრანისა, საგურამოსი, ჰოპორტისა, მცხეთისა და ბაზალეთისა. აქ უკვე დაიწყო გადასახადის აკრეფა. რაც შეეხება მთა-გორიან ადგილებს: ფასანაურს, მლეთს, კობს და ყაზბეგს, იქ მხოლოდ ქერის თესვას მისდევენ და მოსავალი გვიან მოდის. ამიტომ იქ გადასახადის აკრება გვიან დაიწყება, თუმცა სიები იქაც დაგზავნილია.

ყველა სოფელს და ყველა გადამხდელს გამოცხადებული აქვს მაზე შეწერილ გადასახადის რაოდენობა. საჩივარი და პროტესტები აღარ არის, როგორც ეს შარშან იყო. რადგანაც გადასახადი სამართლიანად არის განაწილებული თვით სოფლელთა მიერ რამდენიმე სოფელი მუხრანის რაიონისა სამაზრო სამეულმა თემის საბჭოს პლენუმის შუამდგომლობით მთლად გაანთავისუფლა გადასახადისაგან, რადგანაც სეტყვამ მათ დიდი ზარალი მიაყენა ეს სოფლები შემდეგია: ფრეზეტი, უფურეთი, ნახევარ სოფელი შუახევისა და ახალდაბა. ასევე განთავისუფლებულ იქნენ გადასახადისაგან ბაზალეთის რაიონში სეტყვისაგან დაზარალებული სოფლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ სოფლის განთავისუფლების შემდეგ თემზე შეწერილ გადასახადის რაოდენობა უცვლელი რჩებოდა.

თუ რამდენად მძიმეა, ან საადვილო წრევანდელი გადასახადი, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ უფრო ყველაზე უფრო მდიდარს მუხრანის რაიონს, სადაც როგორც პურისა, ისე მიწის სხვა მოსავალიც უხვია. თვით მდიდარს და მრავალ რიცხოვანს მუხრანს შეწერილი აქვს 2.472 ფუთი ხორბალი.

ამ სოფელში გადამხდელთა 4 კატეგორია არის დაწესებული. პირველი კატეგორიის გადამხდელს შეწერილი აქვს 15 ფუთი ხორბალი, მეორეს— 7 ფ. 30 გ., მესამეს—3 ფ. 24 გ. და მეოთხეს—2 ფუთი. დანარჩენები სრულიად განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან, სხვა სოფლებში კატეგორიები დაწესებულია ადგილობრივ პირობების მიხედვით. საშუალოდ მაზრაში პირველ კატეგორიას უწევს არა უმეტეს 8 ფუთის ხორბალი. საერთოდ კი ყველა კატეგორიის გადამხდელს ერთი-მეორეზე უწევს არა უმეტეს 4 ფუთისა. გადამხდელთა კატეგორიებად დაყოფის დროს სოფლელნი შემდეგს გარემოებას იღებდნენ მხედველობაში: ამა თუ იმ გადამხდელს რამდენი დესეტინა მიწა აქვს დათესილი, რამდენი სული შინაური საქონელი ჰყავს და რამდენი მუშა ხელია ოჯახში.

სამაზრო სამეულის მიერ მიღებულ ოფიციალურ ცნობით აგვისტოს 20-სთვის სულ შეგროვილია 1.000-მდე ფუთი ხორბალი. მოსავალი მაზრაში საშუალოა, ალაგ-ალაგ კი—საშუალოზე უკეთესი. დიდმა წვიმებმა და შემდეგ ძხურვალე მზემ მარცვალი ააქარიანა და რამდენადმე აღარ გამართლდა პირვანდელი იმედები. თვითეულმა კალომ მოსალოდნელი 30 ფუთი მარცვლეულის ნაცვლად მხოლოდ 20 ფ. მისცა გლეხს.

ხორბალი ამ ჟამად ფასობს 130.000—160.000 მან. ფუთი. ჯერ კიდევ მაისსა და ივნისში შეძლებულმა მცხოვრებლებმა სოფლელთაგან 100.000 მან. დაიბევეს მომავალი მოსავალი.

დღემდე მხოლოდ ერთმა სოფელმა (საგურამოს რაიონში) ითხოვა სურსათის ნაცვლად ფულის გადახდის ნება.

მაზრა კულტურულად ჩამორჩენილია. არ მოიპოვებიან მომზადებული მუშაკები, მაგრამ სამაზრო სასურსათო კომიტეტისა და სახ. სას. კომ. რევიზორ ინსტრუქტორის ენერგიულ მუშაობის წყალობით, მთელი წინასწარი საქმე კარგად არის შესრულებული. ახლა ადმინისტრაციის ენერგიაზეა დამოკიდებული საქმე. რათა მუშაობა დაჩქარებული იქმნეს, სამაზრო სამეულს დაქირავებული ჰყავს გამოცდილი მუშაკები, რომელთაც ორი-სამი რაიონი აბარიათ და ადგილობრივ ხელისუფლებას ამოძრავებენ.

მიმღები პუნქტი შემდეგს ადგილებშია; მუხრანში, სადაც სამაზრო სას. კომიტეტს საკუთარი გამგე ჰყავს მცხეთაში, ფასანაურში, ყაზბეგში, საგურამოში და დუშეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...შრომის ბირჟის მოღვაწეო-...ბგარიშისა, მონაწილეობა ...თა დაზღვევის საქმეებში.

...იასთან სავაჭრო ხელშეკრუ-...მო. იმის გამო, რომ ამ ქა-...ოვში შრომის და თავდაც-...ს დეკრეტით მოწყობილია ...ური კომისია გერმანია-...სავაჭრო ხელშეკრულების ...მზადებლათ და ვინაიდან ეს ...ულება უნდა გავრცელდეს აგრეთვე ამიერ კავკასიის რესპუბლიკებზედაც, საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსდეს ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან, სპეციალური კომისია გერმანიასთან ხელშეკრულების მოსამზადებლად, რომელიც ნაწილობრივ შეეხება ამიერ-კავკასიასაც.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალა მოაწყოს ეს კომისია არა უგვიანეს 2 სექტემბრისა.

# ...არტიული ცხოვრება

**...ტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრთა და კანდიდატების საყურადღებოთ.**

...ლისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომელ-...ობენ, ან ოდესმე მუშაობდენ კოოპერატიულ დაწესებულებებში ...ნ ამა წლის 1 სექტემბრამდე თბილისის კომიტეტის საალრიცხვო სტატისტიკურ განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**კახიანი.**
საორგანიზაციო განყოფილების გამგე—**რუბენი.**

...სკოვში სტუდენტების გამგზავრების მომწყობი

## კ ო მ ი ს ი ა

...ახსენებს დაინტერესებულთ, რომ გამგზავრება მოხდება ორ ხექ-... კომისია წინადადებას იძლევა მოემზადონ ყოველგვარი დოკუმენ-...რომლებიც შეეხებიან სამხედრო სამსახურსა და პარტიულ მობილიზაციას.

**კომისია.**

..., 1 სექტემბერს, დილის 9 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში **დანიშნულია**

## ...ლიტიკურ-ხელმძღვანელთა თათბირი.

...გამოცხადდება, პასუხისგებაში იქნება მიცემული პარტიული დისციპლინის წესით.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.** 2—2

...ი რაიონის საერთო. კომპარტიის წინადადებით ეძლევა [illegible]

## ...რიგი ერთიანი პარტიულ დღის

...1 სექტემბერს) ყველა კომისარიატებმა [illegible] შემდეგი საკითხები: [illegible]

მე 4 რაიონის პასუხისმგებელი მდივანი [illegible] 2—2

**ცირკულიარულათ.**

26 აგვისტო—1922 წ.

[illegible]

ნელი კი მათი გარჩევის შემდეგ შე-[illegible]

**დებულება**

[illegible]

1) [illegible]

2) [illegible]

3) [illegible]

4) [illegible]

5) [illegible]

საერთო წესით, რომელიც აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცეკას ცირკულიარში № 133.

6) ეს დებულება არ ვრცელდება იმ ახალგაზრდებზე, რომელნიც მსახურობენ წითელ არმიაში და ფლოტში, მათი პარტიაში მიღება, თანახმად მე 11-ტე ყრილობის დადგენილებისა, ხდება პარტკომის თემის მიერ, საქ. ახ. კომკავშირის გარეშე.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი **ხაბაშვილი.**
საქ. ახ. კომკავშირის მდივანი **დევდარიანი.**

—

## თბილ. მე-3 რაიონში.

**სალამი ამხ. ლენინს.**

23 აგვისტოს შესდგა მე 3 რ. წევრთა, კანდიდატთა მორიგი საერთო კრება, რომელზედაც დაესწრენ სამხედრო ორგანიზაციების და ახ. კომ. კავშირის წარმომადგენლები. მოხსენება გააკეთა ამხ. ელიავამ კომუნისტურ პარტიის სრულიად რუსეთის მე-12 კონფერენციის შესახებ, რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მე 3 რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ ახალგაზრდების კომკავშირის და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლები, იღებს რა ამხ. ელიავას მოხსენებას სავალდებულო სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად, უძღვნის სალამს ამხ. ლენინს, რომელიც ახლო მომავალში ისევ შეუდგება მუშაობას და თავის ბრძნულ პროლეტარულ პოლიტიკით მიიყვანს მსოფლიო მუშათა კლასს ძალა უფლებამდე და მსოფლიო მაშტაბში ბურჟუაზიის დიქტატურის დამხობამდე. საერთაშორის პროლეტარიატის ხელმძღვანელი, რომელიც განიკურნა 5 წლის განმავლობაში მედგარ არაჩვეულებრივ მუშაობით დაღლილობისაგან, ისევ ჩვენს შორის არის, როგორც დაუღალავი მებრძოლი მსოფლიო პროლეტარიატისა. ჩვენი აღფრთოვანებული სალამი სახელოვან მებრძოლს ძვირფას ილიჩს.

**კავკასიის ცალკე არმიის 4 წლისთავი.**

ამხ. ელიავას მოხსენების გამო კავკასიის ცალკე არმიის 4 წლის თავის შესახებ, კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: საერთო კრება ამხ. ელიავას მოხსენების.

მოხსენების შემდეგ კავკასიის ცალკე არმიის 4 წლის თავის შესახებ გამოსთქვამს თავის განცვიფრებას კავკასიის ცალკე არმიის უმაგალითო გმირობის გამო, რომელმაც დასწერა არა ერთი სახელოვანი ფურცელი პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიაში და დაამტკიცა, რომ მუშურ გლეხური არმიას საშინელ სიმშილისა და სიცივის პირობებში შეუძლია სასწაულების მოხდენა თავისი სიგამირით, მტკიცე და კოლოსალურ ბრძოლით შინაურ და გარეშე კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ.

სამუდამო ხსენება კავკასიის ცალკე არმიის იმ გმირებს, რომლებმაც გასწირეს თავისი სიცოცხლე ბრძოლის ველზე საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ცოცხლად დარჩენილ მებრძოლთ ჩვენ უგზავნით მხურვალე სალამს, იმ რწმენით, რომ მომავალ გადამწყვეტ ბრძოლაში მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ კავკასიის ცალკე არმია ისევ იქნება ბრძოლის წინა რიგებში და თავის წითელ ხიშტებით მოუტანს სრულ განთავისუფლებას მშრომელთ კაპიტალის უღელისაგან.

გაუმარჯოს სახელოვან კავკასიის ცალკე არმიას, რომელმაც მოუტანა თავის მუშურ-გლეხურ ხიშტებით განთავისუფლება რუსეთის და ამიერ-კავკასიის მშრომელთ, და რომელიც მზად არის საჭირო მომენტში ისევ ჩაერიოს ბრძოლაში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასაცავად.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც შოაწყო და აღზარდა კავკასიის ცალკე არმია.

გაუმარჯოს უმაღლეს შტაბს მე 3-ე კომინტერნს.

გაუმარჯოს ბრძოლაში გამობრძმენდილ ჩვენს პროლეტარულ კავკასიის ცალკე არმიას.

**მე 3 რაიკომის მდივანი.**

—

## სოფ. ავჭალა.

1922 წელს, 20 აგვისტოს სამკითხველოს დარბაზში მოხდა ავჭალის თემის კომუნისტური ორგანიზაციის საერთო კრება.

კრებას დაესწრენ 46 ამხანაგი და თბილისიდან ჩამოსული, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლადო სუხიშვილი და მისი მოადგილე ამხ. ვ. მესხი. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ს. ბერაია, მდივნობდა ამხ. ნ. სარქისოვი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე.
2. პარტიული საწევრო გადასახადი.
3. პარტიული დისციპლინა.
4. საღამოს კურსები და პარტიული სკოლა.
5. სათემო კომიტეტის არჩევა.

მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. მესხი, რომელმაც დაახასიათა ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური დაშლის პროცესი, დაწვრილებით შეეხო გენუის და ჰააგის კონფერენციებს და ლონდონის თათბირს. შეეხო ესერების პროცესს, განმარტა პროლეტარული სასამართლოს განაჩენი ამ საქმის შესახებ. მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე გერმანიის მდგომარეობაზე. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ავჭალის თემის კომუნისტი მუშები და მშრომელი გლეხები ფიცსა სდებენ, რომ დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება ყველა მტრების წინააღმდეგ, უკანასკნელ წვეთ სისხლამდე.

პარტიული დისციპლინის შესახებ მოხსენებას აკეთებენ ამხ: ლადო სუხიშვილი და ნ. სარქისოვი. მომხსენებლებმა აღნიშნეს პარტიული დისციპლინის დაცემა. იაჩეიკებში სისტემატიური მეცადინეობა არ მიმდინარეობს, კრებაზე თავის დროზე არ მიდიან ზოგიერთი ამხანაგები და სხ., რის გამოც მოწვეული კრებები ხშირად არც კი ხდება, რაც ყოვლად დაუშვებელია. დასასრულ ამხანაგებმა მოუწოდეს ამხანაგებს ბოლო მოუღონ ასეთ უდისციპლინობას.

ამხ. სარქისოვმა წარმოადგინა სია იმ ამხანაგებისა, რომლებიც რაიონულ პასუხისმგებელ ორგანიზატორ-ხელმძღვანელის მიერ არიან მიმაგრებული, იაჩეიკებში სისტემატიურ მეცადინეობისათვის. ესენი არიან ამხ. მამკოდაში — პლ. შიშინაშვილი, გლდანში—სიკო გოგიშვილი, წყალსადენში—ვ. გოცაძე, შუშის ქარხანაში—ნ. სარქისოვი და ბენია მაღრაძე.

მიმაგრებული ამხანაგები ვალდებული არიან დაესწრონ იაჩეიკების ყოველ კრებას და გაუწიონ მათ შესაფერი ხელმძღვანელობა.

საღამოს კრების და პარტიული სკოლის შესახებ მოხსენებას აკეთებენ ამხ. ლადო სუხიშვილი და ნ. სარქისოვი. მომხსენებლებმა ფართოთ დაახასიათეს ამხანაგების წერა-კითხვის უცოდინარობა, ზოგიერთი ამხანაგი თავის გვარს და სახელსაც კი ვერ წერს. აუცილებელ საჭიროთ სცნო კრებამ ასეთ მოვლენას საჩქაროთ ბოლო მოეღოს.

ამავე დროს საჭიროა პარტიული სკოლის გახსნა. ამხ. სარქისოვი ამბობს, ჩვენ აქ გვყავს საკმარისი ძალა. ზოგიერთ ამხანაგებს შეუძლიათ წაუკითხონ ლექციები სხვადასხვა თემებზე.

ყველა ამხანაგები ერთხმათ სთხოვენ პარტიული სკოლის გახსნას. გამოტანილი იქნა რეზოლიუცია: ამ ახლო ხანში მოეწყოს საღამოთი კურსები კომუნისტ ამხანაგებში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. ამავე დროს გაიხსნას პარტიული სკოლა ამხანაგების პოლიტიკურ თვითშეგნების ასამაღლებლად. თუ არ გვეყოლება ადგილობრივი საკმარისად მომზადებული ამხანაგები, ლექციების წასაკითხავათ ეთხოვოს სამაზრო კომიტეტს დახმარება, როგორც მატერიალურად, აგრეთვე მომზადებულ ძალების მოშველებით. შემდეგ მოხდა სათემო კომიტეტის არჩევნები. ერთხმათ იქნენ არჩეული თემკომში: ამხ. ნ. სარქისოვი, მ ვარდანაშვილი, ს. გოგიშვილი, ვ. გოცაძე და ბენია მაღრაძე. თემკომის მდივნათ არჩეულ იქნა ამხ. ს. გოგიშვილი. კრება დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

**მშრომელი ნიკა.**

—

**ნაქალაქევის თემი** (სენაკის მაზრა)

საქ. კ. პ. ნაქალაქევის თემის ორგანიზაციას აღმოუჩინა ნივთიერი დახმარება ამხ. ლუხუ გაგუამ, ორგანიზაციისათვის საჭირო საგნების მიწოდებით, სულ ერთ დროულად 515,000 მანეთის ღირებულების. ჩვენ არ გვინდა მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ და მხოლოდ დახმარების რაოდენობას, არამედ გვსურს ვსთქვათ ერთი რამ:

ვინ არის ლუხუ გაგუა? ლუხუ გაგუა არის ძველი მუშა რევოლიუციონერი 1905 წლიდან. ამ დროს განმავლობაში ბევრჯერ ხთომია წილად ამხ. ლუხუს ნესტიან სარდაფში გატარებია თვეები და წლები, როგორც ნიკოლოზის, აგრეთვე მენშევიკების ჯალათური მთავრობების არსებობის დროს. მაგრამ მას ფიქრადაც არ მოსვლია არასოდეს რევოლიუციონური ბრძოლის შენელება რევოლიუციის ჯალათების წინააღმდეგ; პირიქით, როგორც შეშვენოდა რევოლიუციონერ მუშას, აწარმოებდა მათ წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას, ეხლაც ებრძვის მათ მუშურ გლეხურ, კ. პარტიის რიგებიდან. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გვსურს გამოუცხადოთ ულრმესი მადლობა ამხ. ლუხუს. არა მარტო იმისთვის, რომ მან გაუწია დახმარება ნაქალაქევის თემის ორგანიზაციას, არამედ იმიტომ, რომ მისი დახმარებას თან ახლავს მისი რევოლიუციონური მისწრაფება და მუშათა პარტიის რიგების გამტკიცების სურვილი. იცოცხლე და იდღეგრძელე ჭაღარა და მედგარო რევოლიუციონერო, ამხ ლუხუ.

ნაქალაქევის თემის ორგანიზაციის დავალებით **ალ. ჯოჯუა.**

# მუშათა ცხოვრება

## უმუშევრობის შესახებ

უმუშევრები მეტად მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ უმუშევართა რაზმს თანდათან ემატება ახალახალი ძალები. ჩვენში უმუშევრობასთან ბრძოლაში ყველა საშუალება არაა გამოყენებული. მაგალითად, არ იქნა და ვერ მოეწყო შრომის ბირჟის გარეშე მიღებულთა სამუშაოებიდან მოხსნა და მათ ადგილზე სამუშაოთ შრომის ბირჟაში ჩაწერილთა გაგზავნა. ეს, სხვა რამ არ იყვეს, შრომის კანონების ავტორიტეტისათვისაც არის საჭირო. კანონს მაშინ აქვს აზრი, თუ ის განხორციელდება.

ამ კანონის განხორციელება მით უფრო საჭიროა, რომ უმუშევრობა თანდათან ფართე ხასიათს იღებს. ამ დროს კი კერძო ხაზეინები შრომის ბირჟას გვერდს უვლიან და მის გარეშე იყვანენ სამუშაოთ საჭირო მუშა ხელს. ამ გარემოებამ მასიური ხასიათიც კი მიიღო. საჭიროა მასთან ენერგიული ბრძოლა.

**უმუშევარი კ. ლ.**

—

## ბინის საკითხი

ბინის საკითხი მუშათა წრეებში კვლავ მწვავეთ სდგას. მრავალი მუშა თვეობით დახეტიალობს საბინაო განყოფილებაში, ცდება სამუშაოს, მაგრამ ამაოთ, დღეს-ხვალე შეპირებას ბოლო აღარ უჩანს. ბინის კრიზისთან საბრძოლველათ სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებები შემჭიდროებულ იქნას.

ეს დადგენილება მეტად მიზანშეწონილი და დროულია. ახლა საჭიროა მისი ცხოვრებაში დაუყონებლივ განხორციელება. ზოგიერთ თანამშრომელს კაბინეტი აქვს და მთელი ოთახი უკავია, იმ დროს, როდესაც მრავალი მუშა ბინას მოკლებულია, ვინ იცის სად ცხოვრობს. უეჭველად საჭიროა ამ დადგენილების მტკიცედ გატარება ცხოვრებაში. სათანადო ორგანოებს თვით ადგილკომებმა უნდა გაუწიონ ამ საქმეში დახმარება.

**უბინაო.**

—

## თბილისის აბანოებში

თბილისის აბანოებში მუშა მოსამსახურეთა შორის კიდევ აქვს ერთ სამარცხვინო ჩვეულებას ადგილი. მოსამსახურეები ინახავენ აბანოს რამოდენიმე ნომერს და თუ ვინმე მდიდრულათ ჩაცმული მივიდა, ევაჭრებიან და რიგს გარეშე აძლევენ. ასეთი მოქმედება არ შეეფერება მუშას, ის მისი სახელის შემლახველია და სასურველია ადგილკომები ამ მახინჯ მოვლენას ენერგიულ ბრძოლას გაუწევდეს. ის რაც ძველ დროს ჩვეულებრივათ ითვლებოდა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სირცხვილია.

**მუშა.**

—

## ზედმეტი სამუშაოები

ზედმეტი სამუშაოების საქმე ვერ არის სათანადოთ მოწესრიგებული. საქმე იმაშია, რომ ასეთი სამუშაოები არ ნაწილდება სამართლიანად და ლამის არის ის ზოგიერთ პირების პრივილეგიათ გადაიქცეს. როდესაც ზედმეტი სამუშაო იქნება, მას ყველას ან რიგრიგობით კი არ აძლევენ, არამედ აძლევენ ყოველთვის ერთხელ ამორჩეულ პირს. არ ვიცით, რა უპირატესობა აქვს ასეთ პირებს სხვებთან შედარებით და რისთვის ხდება ეს.

„კომეტას" ფაბრიკის კანცელიარიაში რამდენიც გინდა, იმდენია ზედმეტი სამუშაო, მაგრამ არა ყველასათვის, არამედ ზოგიერთებისათვის. სასურველია ამ ანორმალობას ერთხელაც არის ბოლო მოეღებოდეს და ან სავსებით ნუ იქნება ზედმეტი სამუშაოები და მასზე უმუშევრებმა იმუშაონ. და ან ასეთი სამუშაოები სამართლიანად იქნას განაწილებული ყველა თანამშრომელთა შორის.

**უკმაყოფილო.**

—

## საარტილერიო საწყობი

საარტილერიო საწყობში შეწყდა გაზეთ „მუშის" მიღება; რაღა თქმა უნდა, რომ ამაში ბრალი მიუძღვის საქარხნო კომიტეტს.

ერთად ერთი გასართობი მუშისათვის დასვენების წუთებში—გაზეთის კითხვაა, მაგრამ ასეთ მცირე სურვილსაც კი არ უსრულებენ მას.

ცხადია, რომ საქარხნო კომიტეტი დაიწყებს თავის მართლებას, იტყვის რომ ფული არ არის და სხვა ასეთი ჩემის აზრით ეს მხოლოდ საქარხნო კომიტეტის არა ენერგიული მოქმედების ბრალია.

გვიპასუხე საქარხნო კომიტეტო, რატომ არ ღებულობენ ამდენ ხანს მუშები გაზეთ „მუშას".

**არტ. საწყობის მუშა.**

# პროვინციაში

## გაყრა სოფელში

ჩვენში გაყრა დღეს უსამართლოთა და უსწოროთ ხდება. გაყრის შესახებ არ არსებობენ დაკანონებული წესები და ყველაფერი ადათ-ჩვეულებაზედ არის დამყარებული და ეს ხომ ყოველთვის სამართლიანი არ არის. ავიღოთ მაგალითი: მამა ეყრება შვილს. აქ მთლიანათ ყველაფერი დამოკიდებულია მამის ნებაზედ და მედიატორეებიც ყოველთვის ისე წყვეტენ საქმეს, როგორც მამის სურვილია. თუ უნდა მიცემს რამეს, თუ არა და ცარიელ-ტარიელს გამოაგდებს სახლიდგან, მეტადრე მაშინ, თუ აზრები და მისწრაფებანი შვილისა და მამისა არ უდგებიან ერთმანეთს, და ეს ხომ ხშირი მოვლენაა ჩვენს სოფელში ახლანდელს დროს.

ავიღოთ მეორე მაგალითი. ეყრება ძმა ძმას, ესენი იყოფენ უძრავ და მოძრავ ქონებას შუაზედ, საძმოთ, და მხოლოთ საზრდო სურსათს ჰყოფენ სულზედ, ამასაც ყველგან არა, არამედ როცა მედიატორეები შესმენილებში შეხვდებიან, თუ არა და ყველაფერი საძმოთ იყოფა. აბა სად არის სამართალი ერთ ძმას ერთი თავი და ცოლი ჰყავს სარჩენი და მეორე ძმას თავისი და ცოლის გარდა ხშირათ 4—5 სული შვილი ჰყავს სარჩენი.

ავიღოთ მესამე მაგალითი. იყრება სამი ძმა. ამ სამს ძმაში უფროს ძმას ჰყავს მოსწრებული შვილები, ერთი დავაჟკაცებულიც და სხვები მუშები, მეორე ძმას წვრილ-შვილი და მესამე ძმა მარტო თითონ არის და თავის ცოლი, და ოჯახში თითქმის მეტი შრომა არ მიუძღვის, რაც უფროსი ძმის შვილს, მოსწრებულ ვაჟკაცს, რომელსაც ჯარის კაცის სამსახურიც შეუსრულებელია.—განა სამართალია, რომ სწორეთ თანაბრათ გაიყონ სამს ნაწილათ ქონება ძმებმა და უფროსი ძმის შვილი კი უწილო დასტოვონ? მაგრამ დღეს ეს ასე ხდება.

მკითხველი ამაზე მეტყვის, რომ ამისთვის უბნის სახალხო მოსამართლე არის ყველგან დანიშნული, ის გამოარკვევს საქმეს, მაგრამ, ვინც სოფლის ცხოვრებას დააკვირდება, ის დაინახავს, რომ გლეხკაცს ამისთვის მოცალება არა აქვს, მით უმეტესათ, რომ ხანდახან ეს მოსამართლე დაშორებულია იმისაგან 15 20 ვერსმედ.

თავათ დაინახა ჩვენმა გლეხკაცობამ, რომ ის, საფუძვლოთ გადასული, მებატონეებისაგან ჩამორთმეული მამულები სოფლის მიწის კომიტეტებმა კომლეურათ და ოჯახურათ კი არ დაჰყვეს, არამედ ან მუშა ხელზედ, ან სულის შემადგენლობაზედ ოჯახში, რაც ნაკარნახევი იყო ცენტრიდან და რაც სამართლიანია, მაგრამ დღემდე ესე ვერ ექცევა გლეხკაცობა ვერც ყოფილ საკუთრების მიწის ნაჭრებს, ვერც ნასყიდობას, ვერც „სანადელო" მიწებს, ერთმანეთში გაყრის დროს. ამისათვის ერთგვარი კანონმდებლობა შუქს შეიტანდა სოფლის ცხოვრებაში ( კვნესა ( დარდს ააშორებდა სოფლის მცხოვრებელს სამუდამოთ თავიდან.

**ვახო ბიბილაშვილი.**

—

## ტყიბულის რკინის გზა.

ტყიბულის რკინის გზაზე სახალხო მატარებელი გამოდის ტყიბულიდან დილის 4 საათზე და ჩადის ქ. ქუთაისში დილის 8 საათზე; ქუთაისიდან გამოდის საღამოს 4 საათზე და მოდის ტყიბულში საღამოს 8 საათზე (დაახლოვებით).

მიმოსვლის დროს ასეთ განაწილებას არა უშავდა ზაფხულში, მაგრამ იგი ყოვლათ უვარგისია შემოდგომისა და ზამთრისათვის, რადგან მაშინ მატარებელმა თითქმის ყველა სადგურები ქუთაის და ტყიბულ შუა უნდა გაიაროს ღამით. მგზავრს მაშინ უხდება სადგურზე ორი ღამის გათევა—წასვლისას და მოსვლისას, რადგან ჩვენი დაქცეული გზების და კონკილახიდების წყალობით სადგურებს და მახლობელ სოფლებ შუა ღამით მგზავრობა ყოვლათ შეუძლებელია.

სადგურში ღამის გათევაც ერთობ ცუდია: თვითონ სადგურებში, გარდა ცემენტის იატაკისა, დასაწოლი არაფერია და მახლობელ „სამიკიტნოში" შესვლა კი ერთობ ძვირი ჯდება.

გარდა ამისა მიმოსვლის დროს ასეთ განაწილებას მეორე უხერხულობაც აქვს: მგზავრს, რომელიც ამ გზით მიდის თბილისის, ან ბათუმისაკენ, დიდი გზის მატარებლები ყველა გასული ხვდება ქუთაისიდან და მას იქ ლოდინი ჰქირდება მეორე დღემდე.

ამავე დროს, რამდენათაც ვიცით, საქონლის მატარებელი გადის ქუთაისიდან ტყიბულისაკენ დილით, ხოლო საღამოზე უკან ბრუნდება. აი, ამ მატარებელს ერთი, ან ორი სამგზავრო ვაგონი რო მოება, ამით ყველა ზემო ჩამოთვლილი უხერხულობა თავიდან აცდენილი იქნება და მგონი არც რკინის გზას მოუვიდეს ამით ძალიან დიდი ხარჯები, მით უფრო, რომ ეს ასე იყო წინეთაც.

თუ ეს რაიმე მიზეზით შეუძლებელია, მაშინ უმჯობესი იქნებოდა, რომ ამ სახალხო მატარებლის მიმოსვლის დრო პირ-შექცევით ყოფილიყო განაწილებული, ე. ი. დილას გამოსულიყო ქუთაისიდან და საღამოზე დაბრუნებულიყო უკან. მაშინ ორი ღამის მაგიერ ერთი ღამის გათევა დაგვჭირდებოდა გარეთ.

**მოხოველი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## ცირკულიარი.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტისადმი**

საქართველოს რევოლ. კომიტეტის მიერ ამა 1922 წ. იანვრის 25-ს თარიღითა და 90 №-ით გამოცემულ დეკრეტს შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის შესახებ, აზრათა აქვს სოფლის მცხოვრებთათვის სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა შემსუბუქება და პროლეტარიატსა და გლეხობის შორის კავშირის განმტკიცება, რაიც საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს შეადგენს. ამის გამო, შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის დეკრეტის სისრულით განხორციელების დახანება, წარმოადგენს იმ პოლიტიკის ძირის გამოთხრას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას დასახული აქვს გლეხობის მიმართ.

ხსენებული, ფრიად დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის ღონისძიება, ხორცს შეისხამს მხოლოდ იმ პირობით, თუ, ერთის მხრით, ყველა შრომის განყოფილება ფხიზლად და განსაკუთრებულის სისწორით შეასრულებს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ამ სფეროში გამოცემულ ყოველ კანონსა და დებულებას, ხოლო მეორე მხრით, თუ სამაზრო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის განსახორციელებლად წარმოებულ მუშაობაში.

ამის ნაცვლად, როგორც შრომის სახალხო კომისარიატში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის კამპანია ჰკარგავს თავის სასწრაფო ხასიათს და საქმე მეტად ზანტად მიდის. აღმასრულებელი კომიტეტები და სხვა ორგანიზაციები არა თუ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას აღნიშნულ საკითხს, არამედ, პირიქით, თითქმის ყველა აღმასრულებელი კომიტეტი, მილიცია და სხვა ორგანოები კვლავ განაგრძობენ შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარის გადახდევინებას; ხოლო ეს გარემოება იწვევს გლეხობის სრულიად სამართლიან უკმაყოფილებას და ხელს უწყობს მცხოვრებთა შორის შრომის ხარკის დეკრეტისადმი უნდობლობის აღძვრას და გამოცემული კანონ-დებულების დარღვევას.

ცენტრალური ხელისუფლების დეკრეტის ასეთი სახელის გატეხა, რა თქმა უნდა, არაფერს წარმოშობს გარდა უნდობლობისა და დეზორგანიზაციისა და არავითარ საბუთებით, ან სამეურნეო მოსაზრებებით არ შეიძლება იგი გამართლებულ იქნეს.

პირიქით, შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის დაუყოვნებლივ და მტკიცედ ცხოვრებაში გატარება, მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებას მორალურ უფლებას მოსთხოვოს დაწესებული ნორმის აუცილებელი შესრულება, და თუ საჭირო იქნა მიმართოს რეპრესიულ ზომებსაც, რაიც გათვალისწინებულია საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 149 №-ის დადგენილებით უმუყაითო გადამხდელთა მიმართ.

შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის სამუშაოთა უსასყიდლოდ შესრულება ამ ჟამად წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის უშუალო შემოსავლის წყაროს, რის გამოც ყველა სამეურნეო ორგანო, რომელიც მუშის შრომას, ან ტვირთ-ზიდვის საშუალებას სარგებლობს, ვალდებულია აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა სწორი აღრიცხვა და ამის შესახებ წარუდგინოს სრული ანგარიში სათანადო შრომის განყოფილებას.

ამის გამო, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ხარკის თავიდან აცილების ყოველგვარ ცდას, ხარკისაგან უკანონოდ განთავისუფლებას, მუშა-ძალის და ტვირთზიდვის საშუალებათა არა რაციონალურად გამოყენებას სამეურნეო ორგანოთა მიერ შრომისა და ტვირთ ზიდვის ხარკის წესით შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის უქონლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ ამოცანების შესრულება დაევალება სამაზრო შრომის განყოფილებებს და მათ რწმუნებულებს თემში; ხოლო ამ ამოცანების ნაყოფიერად და გონიერად გადაჭრა დამოკიდებულია ხსენებულ ორგანოთა და პირთა შრომის უნარზე, მათ მიერ დაკისრებული საქმის სასწრაფოდ და სისწორით შესრულებაზე და იმაზე, თუ რამდენად ენერგიულ დახმარებას გაუწევს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი ან სხვა ორგანიზაცია ხარკის განხორციელებას.

ზემო აღნიშნულის გამო, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას გაძლევთ:

1) უცვლელად და მთლიანად იქნეს ცხოვრებაში გატარებული საქართველოს რევ. კომიტეტის დეკრეტი შრომისა და შარა-გზით ტვირთ ზიდვის ხარკის შესახებ; ადგილობრივმა ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაუხვიოს რევ კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და შრომის სახ. კომისარიატის მიერ ამ სფეროში გამოცემულ კანონმდებლობას.

2) ეუწყოს და განემარტოს მცხოვრებთ დედა აზრი და მიზანი შრომისა და შარაგზით ტვირთ ზიდვის ხარკისა და ის განსაკუთრებული სარგებლიანობა, რომელიც თან სდევს ამ დეკრეტს, როგორც მცხოვრებთათვის, ისე სახელმწიფოსათვის.

3) არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული მცხოვრებთა იძულებითი გამოყვანა სამუშაოზე შრომისა და შარა გზით ტვირთ-ზიდვის ბეგარის წესით, შრომისა და შარა-გზით ტვირთ-ზიდვის ხარხის ნორმის ზევით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით.

4) გამოეცხადოს დაუნდობელი ბრძოლა მუშა ძალისა და ტვირთსაზიდავ საშუალებათა არა რაციონალურ სარგებლობას და აგრეთვე, ხარკისაგან თავის დახწევის სურვილისა და გადამხდელთა უკანონო განთავისუფლებას.

5) მიღებულ იქნეს ყოველგვარი ღონისძიება რათა ყოველმა მცხოვრებმა შეასრულოს ხარკით დავალებული სამუშაოს 100 პროც. ამ შემთხვევაში სრულიად გადაჭრით გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა ზომები, თანახმად საქართველოს რევ. კომიტეტის 149 №-ის დადგენილებისა პასუხის გების შესახებ შრომისა და შარა გზით ტვირთ-ზიდვის ხარკის შეუსრულებლობისათვის.

6) მიღებულ იქნეს სათანადო ზომები, რათა სისწორით იქნეს აღნუსხული სამეურნეო ორგანოების მიერ ხარკის წესით გამოყენებული მუშა ძალა და ტვირთ-ზიდვის საშუალებანი და აგრეთვე მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა ამ უკანასკნელთა სწორი ანგარიშების განხორციელების გზით შრომის განყოფილების წინაშე.

7) სასწრაფოდ გაძლიერებულ და განმტკიცებულ უნდა იქნეს თემის რწმუნებულთა აპარატი, ისე რომ მან შესძლოს სისწორით და სწრაფად შეასრულოს ყოველგვარი სამუშაო რასაც მას დაავალებს, შრომის განყოფილება. ამ მიზნით წარუგზავნეთ მათ სათანადო ინსტრუქციები.

8) შრომის განყოფილებათა მუშაობაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიოს რომელიმე გარეშე უწყება ან სამეურნეო ორგანო და სასტიკათ უნდა აიკრძალოს თვითნებურათ გაწვევა (ვისი მხრიდანაც უნდა იყოს ეს—აღმასრულებელი კომიტეტისა, მილიციისა, პოლიტიკური ბიუროსა თუ სხვა მხრით) მუშა-ძალისა და ტვირთ-ზიდვის საშვალებებისა შრომის განყოფილების დასტურის გარეშე.

9) თქვენ მიერ მიღებული ზომების შესახებ და საზოგადოდ თქვენდამი რწმუნებულ მაზრაში ამ საკითხის მდგომარეობის შესახებ, დაუყონებლივ წარმოუდგინეთ მოხსენება სრულიად საქ. აღმ. ცენტრალ. კომიტეტს, ხოლო ასლი ამ მოხსენებისა—შრომის სახალხო კომისარიატს.

სრულიად საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტი განმეორებით აღნიშნავს, რომ მას სრულიად დაუშვებლად მიაჩნია საბჭოთა პოლიტიკის დარღვევა გლეხობის მიმართ, შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის შესასრულებლად მათი უკანონო გამოწვევის გამო და მთელ პასუხისმგებლობას ამა ცირკულიარის დაუყოვნებული განხორციელებისათვის აკისრებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთ და შრომის განყოფილებათა გამგებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აგვისტოს 29.

ტფილისი—სასახლე.

**სარედაქციო კოლეგია.**

---


ყარამან გრიგოლის ძე მეუღლით ვერა იოსების ასული ფალავა, დავით ანტონის ძე ჩიქოვანი, კალისტრატე აფრასიყვას ძე ჭყონია, და ალექსი სპირიდონის ძე გიგიჭკორი აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ გარდაცვალების მეორმოცე დღეს ძვირფასი ძმის პირველისა და ბიძის დანარჩენისა

**აბესალომ გრიგოლის-ძის ფალავას**

პანაშვიდი გადახდილი იქნება კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში კვირას დილის 12 საათზე. (277—1—1)

---

კვირას, 3 სექტემბერს დილის 10 საათზე ყოფ. სომხურ კლუბის შენობაში (ხელოსანთა კლუბის პირდაპირ) შესდგება

**საერთო კრება**

**დამოუკიდებელ შრომის პირთა**

(ხელოსნების, შინა მრეწველის, ინტელიგენტურ პროფესიის პირთა—ექიმების, იურისტების და სხვ., რომელნიც არსად მსახურებენ) „დამოუკიდებელ შრომის პირთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების" დასაარსებლად და მოსაწყობათ.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ.
2) საორგანიზაციო ბიუროს არჩევნები.
3) საამქრო კომისიის არჩევნები.

გთხოვთ ყველა დაესწროთ, რადგან ყველა დამოუკიდებელ შრომის პირთათვის სავალდებულოა საზოგადოებაში თანამშრომლობა.

შრომის სახ. კომისარიატთან არსებული საორგანიზაციო კომისია.

(კრ. 244—4—2)

---

**ქალაქის აღმასკომის კომუნალ. განყოფილება**

აცხადებს, რომ პარასკევს 1 სექტემბერს, დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

**ყოფ. მირზოევის აბანოს შესაკეთებლად.**

ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის აღმასკომში ოთახი № 45.

საინ. ტეხ. სააღმშენებლო განყოფილების გამგის მოადგილე: **დეხანოვი.**

229 კრ. 3—3

---

**ელექტრონის, რენტგენის და სინათლის**

**სამკურნალო**

საწოლი ოთახებით

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—25)


---

**ყველა იმ შეზღუდვათა, სადარაჯო და საკონტროლო პუნქტების გაუქმება, რომლებიც ხელს უშლიან ტვირთების გადაზიდვას**

საკავშირო საბჭოს 26 აგვისტოს დადგენილების თანახმად, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი მოადგილემ ლედერმა გამოაცხადა მთელ ხაზზე სამმართველოს და ყველა უფროსების ცნობად და სახელმძღვანელოდ: „ყველა შეზღუდვანი, სადარაჯო და საკონტროლო პუნქტები საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებზე გაუქმებულ უნდა იქნეს 24 საათის განმავლობაში. თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკის შიგნივ ამავე ვადის განმავლობაში ყველა ის შეზღუდვანი, რომელიც დაწესებულია სახალხო კომისართა საბჭოების, სასურსათო სახ. კომისარიატის და ხელისუფლების დანარჩენ ორგანოების მიერ, და რომელიც ხელს უშლის საქონლის, პროდუქტების და საგნების გადატან-გადმოტანას. საკავშირო საბჭოების მიერ შემოღებული ყველა შეზღუდვანი, დეკრეტები, დადგენილებები და განკარგულებანი გაუქმებულ უნდა იქნეს 48 საათის განმავლობაში. ამ ვადის განმავლობაში ყველა შინაური საზღვრები და საქონლის ტრიალი, როგორც თვითეულ რესპუბლიკის შიგნივ ისე რესპუბლიკების შორის გამოცხადებულია თავისუფლად. ვიძლევი წინადადებას ზემოხსენებული დადგენილება სასტიკად იქნეს მიღებული სახელმძღვანელოდ და ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ექნება ყოველგვარ ჩარევას თქვენ მოქმედებაში და აგრეთვე დარღვეული იქნება საკავშირო საბჭოს დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის უახლოეს თანამშრომელს და ხოლო ასლი გადმომეგზავნოს მე დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. ბრძანება ეს შედის ძალაში ტელეგრაფით გადაცემის შემდეგ და უნდა იქნეს გამოკიდებული ყველა სადგურებზე.

234 კრ. 2—2

---


**ქალ. თბილისის მე-5 უბ. სახალხო მოსამართლე**

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ 16 ნოემბერს 1920 წ. იბრაგიმ ტაგი ოღლის დარჩენილ ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება აღნიშნულ ქონებაზე ორ თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს) (398—1—1)

**დაკარგე** იოსებ კირვალიძემ სარეგისტრაციო და პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (278—1—1)


---

# ყველა მატარებლების მიმოსვლის ცხრილის შეცვლა 1922 წ. 1 სექტემბრიდან

**მატარებლების გამგზავრება** — თბილისიდან უკანასკნელ სადგურამდე

**მატარებლების მისვლა** — თბილისში უკანასკნელ სადგურიდან

## თბილისის დროთი

### თბილისი-ბათომი-ფოთი და მისი შტოები

| მატარებლების № № | | | | სადგურები | მატარებლების № № | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | 6 | 4 | 2 | | 1 | 3 | 5 | 21 |
| 11,45 ღ. | 10,30 საღ. | 11,40 დილ. | 6,15 საღ. | თბილისი | 8,25 დილ. | 6,00 საღ. | 6,00 დილ. | 3,25 ღ. |
| 1,03 ღ. | 11,20 ღ. | 12,41 დღ. | 7,04 ს. | მცხეთა | 7,43 დილ. | 5,07 დღ. | 5,25 დილ. | 2,24 ღ. |
| 5,50 ღ. | 1,24 ღ. | 3,4 დღ. | 9,04 დღ. | გორი | 5,57 დილ. | 2,56 დღ. | 3,38 დილ. | 10,07 საღ. |
| 9,35 დილ. | 3,18 ღ. | 5,8 დღ. | 10,49 ს. | ხაშური | 4,30 ღ. | 1,16 დღ. | 2,15 ღ. | 6,43 საღ. |
| — | — | 6,15 დღ. | — | ბორჯომი | — | 10,55 დილ. | — | — |
| 2,18 დღ. | 6,52 დილ. | 8,59 საღ. | 2,30 ღ. | შორაპანი | 12,17 ღ. | 8,50 დილ. | 9,51 დღ. | 1,00 დღ. |
| — | მოდის | 12,40 დღ. | — | საჩხერე | — | 4,54 დღ. | — | — |
| — | მოდის | 11,50 ღ. | — | ქუთაისი | — | 5,30 დილ. | — | — |
| 7,36 ღ. | 9,35 დილ. | 12,32 ღ. | 5,21 დილ. | სამტრედია | 9,44 ღ. | 5,07 დილ. | 7,14 ს. | 6,25 დილ. |
| — | — | 2,13 ღ. | — | ახ. სენაკი | — | 2,19 ღ. | — | — |
| 11,58 ღ. | — | 3,40 ღ. | — | ფოთი | — | 12,44 ღ. | — | 5,00 დილ. |
| 3,00 ღ. | 1,00 დღ. | 4,50 ღ. | 8,45 დილ. | ბათომი | 6,00 ს. | 12,15 ღ. | 3,25 ღ. | 10,00 დილ. |

### თბილისი-ბაქო-დერბენტი-პეტროგრადი

| მატარებლების № № | | | | სადგურები | მატარებლების № № | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | 5 | 3 | 1 | | 2 | 4 | 6 | 22 |
| 5,40 დღ. | 8,00 დილ. | 9,30 ს. | 11,00 დილ. | თბილისი | 3,00 დღ. | 7,15 დილ. | 8,25 ს. | 9,45 დილ. |
| 11,53 ღ. | 11,33 დილ. | 1,27 ღ. | 3,00 დღ. | აქსტაფა | 11,23 დილ. | 3,21 ღ. | 4,45 დღ. | 3,51 ღ. |
| 7,39 დილ. | 2,54 დღ. | 5,15 დილ. | 6,30 დღ. | ელისავეტპოლი | 7,55 დილ. | 11,32 ღ. | 1,18 დღ. | 9,37 საღ. |
| 12,00 დღ. | 5,12 დღ. | 7,50 დილ. | 8,55 დღ. | ევლახი | 5,16 დილ. | 8,40 საღ. | 10,47 დილ. | 4,50 დღ. |
| 10,23 ღ. | 10,00 დღ. | 1,23 დღ. | 1,53 ღ. | აჯიკაბული | 11,34 ღ. | 2,28 ღ. | 6,02 დილ. | 6,45 დილ. |
| **მოდის** | | | | | **გადის** | | | |
| 4,30 ღ. | 1,50 ღ. | 5,35 დღ. | 5,45 დილ. | ბაქო | 7,15 ს. | 9,45 დილ. | 2,00 დილ. | 11,15 ღ. |
| **გადის** | | | | | **მოდის** | | | |
| 7,30 დილ. | 3,35 ღ. | 8,20 საღ. | — | ბაქო | — | 6,45 დილ. | 12,15 ღ. | 4,30 დღ. |
| 3,42 დღ. | 9,04 დილ. | 3,06 ღ. | — | ხაჩმასი | — | 12,54 ღ. | 7 ს. | 8,55 დილ. |
| 8,05 საღ. | 12,20 დღ. | 6,40 დილ. | — | დერბენდი | — | 9,50 ღ. | 4,07 დღ. | 4,10 ღ. |
| 3,15 ღ. | 6,00 საღ. | 12,35 დღ. | — | პეტროვსკი | — | 4,30 დილ. | 11,15 დილ. | 9,00 საღ. |
| 4,40 ღ. | 10,45 საღ. | 5,20 დილ. | — | როსტოვი | — | 11,00 ღ. | 6,45 დილ. | 12,10 ღ. |
| — | 10,30 საღ. | — | — | მოსკოვი | — | — | 7 ს. | — |
| — | 12 დღ. მოდ. | — | — | პეტროგრადი | — | — | 9 ს. | — |

### მოდის თბილისი-წნორისწყალი-თელავი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| — | — | 9 დილ. | — | თბილისი | — | 7,35 საღ. | — | — |
| — | — | 12,47 დღ. | — | საგარეჯო | — | 3,54 დღ. | — | — |
| — | — | 6,20 საღ. | — | გურჯაანი | — | 10,40 დილ. | — | — |
| — | — | 9 საღ. | — | წ. წყალი | — | 7,30 დილ. | — | — |
| — | — | 9,30 საღ. | — | თელავი | — | 7 დილ. | — | — |

### თბილისი-ერევანი-ჯულფა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12,30 დილ. | — | 8 საღ. | — | თბილისი | — | 8,10 დილ. | — | 4,00 დილ. |
| 8,15 საღ. | — | 2,35 ღამ. | — | სანაინი | — | 2,10 ღამ. | — | 9,00 საღ. |
| 12,15 ღამ. | — | 5,40 დილ. | — | კარაკლისი | — | 11,25 ღამ. | — | 5,53 დღ. |
| 7 დილ. | — | 11 დილ. | — | ალექსანდროპოლი | — | 6,45 საღ. | — | 12,20 დღ. |
| **მოდის** | | | | | **გადის** | | | |
| 2,45 დღ. | — | 6 საღ. | — | ერევანი | — | 9 დილ. | — | 11,30 ღამ. |
| **გადის** | | | | | **მოდის** | | | |
| — | — | 3,00 დღ. | — | ერევანი | — | 1,47 დღ. | — | — |
| — | — | 11,57 ღ. | — | შახტახტი | — | 5,30 ღ. | — | — |
| — | — | 4,15 ღ. | — | ნახიჩევანი | — | 2,10 ღ. | — | — |
| — | — | 6,30 დილ. | — | ჯულფა | — | 8,00 საღ. | — | — |

### თბილისი-ბორჯომი-სურამი-ბაკურიანი

| მ. № 18 | მ. № 20 | | | | | | მ. № 19 | მ. № 17 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8,35 დილ. | 4,00 დღ. | — | — | თბილისი | — | — | 7,45 დილ. | 10,00 საღ. |
| 9,35 დილ. | 5,01 დღ. | — | — | მცხეთა | — | — | 6,52 დილ. | 9,11 საღ. |
| 11,27 დილ. | 7,12 საღ. | — | — | გორი | — | — | 4,45 ღ. | 7,06 საღ. |
| 1,47 დღ. | 9,00 საღ. | — | — | ხაშური | — | — | 3,15 ღ. | 5,37 დღ. |
| 3,30 დღ. | 10,15 საღ. | — | — | სურამი | — | — | 1,30 ღ. | 4,00 დღ. |
| **მოდის** | | | | | **გადის** | | | |
| 2,55 დღ. | 10,30 ღ. | — | — | ბორჯომი | — | — | 1,15 ღ. | 3,55 დღ. |
| **გადის** | | | | | **მოდის** | | | |
| — | 7,05 დილ. | — | — | ბორჯომი-პარკი | — | — | 5,25 დღ. | — |
| — | 8,33 დილ. | — | — | წაღვერი | — | — | 4,04 დღ. | — |
| — | 10,52 დილ. | — | — | ბაკურიანი | — | — | 1,53 დღ. | — |

**შენიშვნები:** 1) სასწრაფო მატარებლები № 1 და 2 დასაძინებელი ადგილებით და ვაგონ-რესტორანით დადის ორჯერ კვირაში: ბათომიდან ოთხშაბათობით და კვირაობით; თბილისს გაივლის ხუთშაბათობით და ორშაბათობით; ბაქოში ჩავა პარასკევობით და სამშაბათობით. მ. № 2 ბაქოდან ბრუნდება პარასკეობით და სამშაბათობით; თბილისში მოდის შაბათობით და ოთხშაბათობით, ბათომში მოდის კვირაობით და ხუთშაბათობით.

2) სწრაფი მატარებელი №№ 5 და 6 დადის სამჯერ კვირაში; ბათომი-როსტოვი ორშაბათობით; როსტოვში მიდის ხუთშაბათობით. ბათომი-მოსკოვი შაბათობით. ბათომი-პეტროგრადი ხუთშაბათობით; მიდის პეტროგრადში ოთხშაბათობით, ამ მატარებელში დასაწოლი ალაგები დანომრილია.

3) მატარებელი № 6 როსტოვიდან ბათომამდე კვირაობით; თბილისში მოდის და გადის ოთხშაბათობით; მოსკოვიდან ბათომში ოთხშაბათობით; თბილისში მოდის და გადის კვირაობით და პეტროგრადიდან ბათომში კვირაობით, თბილისში მოდის და გადის პარასკევობით.

4) საფოსტო მატარებელი №№ 3 და 4 თბილისიდან და ერევნიდან გადის ლუწ დღეებში.

ა) საბარგო სამგზავრო მატარებელი 25 და 26 კენტ დღეებში.

5) ფოსტის მატარებელი №№ 3 და 4 თბილისიდან და თელავიდან გადის ლუწ დღეებში და საბარგო-სამგზავრო № 21 და 22 კენტ დღეებში ერთ და იმავე საათზე.

6) ერევანსა და ჯულფას შორის ორჯერ კვირაში—ერევნიდან სამშაბათობით და პარასკეობით, ჯულფიდან კი ოთხშაბათობით და შაბათობით.

7) პირდაპირი მიმოსვლა: თბილისი-ფოთი, თბილისი-ქუთაისი, ქუთაისი-ბათომი, ფოსტის მატარებლების №№ 3 და 4 მთავარ ხაზზე და შტოებზე თანახმად ამ მატარებლების მიმოსვლისა.

8) ბაქო-კავკავი ერთი კლ. ვაგონი მატ. №№ 3 და 4.

9) №№ 5 და 6 მატარებლების შემადგენლობაში მოსკოვი-თბილისი შედის სპეციალური დანიშნულების ვაგონი (საერთაშორისო საზოგადოების ყოფილი ვაგონი) და როსტოვი-თბილისი ერთი კლ. ვაგონი.

(კრ. 235—2—2)

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა. როზენბერგის ქ. № 4.